

ვახტანგ

ბლაგიძე

VAKHTANG BLAGIDZE

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



კვლანების გურასაშვილი

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenashvili

პროექტის კოორდინატორი
რუსულან აფცაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
ავთანდილ გურასაშვილი

TEXT
Avtandil Gurasashvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქტორი
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზალ წერაფარძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, ვლადიმერ როდიონოვი,
ალექსანდრე კოტორაშვილი, www.sportphoto.ge

PHOTO
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, Vladimir Rodionov,
Aleksandre Kotorashvili, www.sportphoto.ge**

პარტნერი
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Wrestling Federation**

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

ვასტანგ პლაგიტი

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION



ბიოგრაფიის პარალელი, როგორც შესავალი

XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო ვაჟ სპორტსმენად აღიარებულ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ვიქტორ სანეევს, დაბადების 60 წლის იუბილეზე ასევე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვახტანგ ბლაგიძემ უშველებელი ხმალი მიართვა საჩუქრად. მერე საზოგადოებას მიუბრუნდა და თქვა, ვიქტორი, როგორც პიროვნება, მუდამ ჩემი კერპი იყო, არის და ასეთად დარჩება.

ვახტანგ ბლაგიძისთვის ფალავანთაგან მისაბაძია ოლიმპიური თამაშებისა და ოთხზის მსოფლიო ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რომან რურუა.

თავის მხრივ, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის დიდოსტატ ვახტანგ ბლაგიძეს, როგორც უებრო ფალავანს, კერპად არაერთი მიიჩნევდა და ბევრი ახალგაზრდა ბაძავდა. ან როგორ არ უნდა მიებაძათ, როცა თითქმის ყველა ბრძოლას ვადამდე, სულ რამდენიმე წამში წმინდად იგებდა. ასე გახდა ის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1980), მსოფლიოს ორგზის (1978, 1981) და ევროპის ორგზის ტრიუმფატორი (1978, 1980), მსოფლიო თასის მფლობელი (1982), უნივერსიადის გამარჯვებული (1977), სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელი (1981)...

ქვემოთ გავიხსენებთ სწორედ ამ გამარჯვებებისთვის გადახდილ ბრძოლებსა და მათკენ მიმავალ გზას, რომელსაც კიდევ არაერთი ქართველი ყმანვილი დაადგება.

ამ მოგონებათაგან ბევრი ჩემს უშუალო შთაბეჭდილებებს უკავშირდება, რადგან განგებამ თუ ჩვენი ცხოვრების ბედნიერმა დამთხვევამ მრავალი წლის წინათ ერთმანეთთან დაგვაკავშირა. მას მერე ჩვენი ცხოვრების გზები არაერთხელ გადაიკვეთა. პირველად ეს მოხდა სოფიაში, მსოფლიო უნივერსიადაზე, როცა პირველად ვიყავი უცხოურ მივლინებაში, ვახტანგ ბლაგიძემ კი იქ თავისი საეტაპო გამარჯვება იზეიმა.





მერე ორივეს ერთად მოგვიხდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში ყოფნა და ერთ ყაზარმაში ცხოვრება. ჯარგამოვლილები კიდევ ბევრჯერ ერთად მოვხვდით ჭირსა თუ ლხინში. რაც მთავარია, კავკასიონის თოვლისა და ყინულის საუფლოში, ჯიხვებისა და არწივების საბრძანებელთან დაცემულ კარავში ერთად ვისმენდით ქარის ზუზუნს, მერე კი ერთ თოკში ჩაბმულნი ავედით 4000 მეტრამდე სიმაღლის მწვერვალზე...

ასე რომ, გასახსენებელი ბევრი გვაქვს. ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებით დავიწყოთ...

ოლიმპიური ტრიუმფი

ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება, ისე როგორც სხვა ჩემპიონებისთვის, ვახტანგ ბლაგიძისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თუმცა ზოგიერთი იმასაც ამბობს, აბა, მოსკოვის ოლიმპიადა რა ოლიმპიადა იყო, ნახევარმა მსოფლიომ საბჭოთა კავშირს ბოკოტი გამოუცხადა და შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდაო. ეს მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ჭიდაობაში, თუ ვინმე რამეს წარმოადგენდა, მოსკოვის სარბიელზე ყველა გამოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ვახტანგ ბლაგიძის წონით კატეგორიაში (52 კგ) ყველა ფავორიტმა მოიყარა თავი.

„ამბობენ, გამარჯვება მით უფრო სასიხარულოა, რაც უფრო მძიმე ბრძოლებშია მოპოვებულიო, — ამბობს ვახტანგ ბლაგიძე, — მართალია, მოსკოვის ოლიმპიური ოქრო იოლად მოვიპოვე, მაგრამ სიხარულით ცას ვენიე. ფინალური ბრძოლა დამთავრდა თუ არა, დედა გამახსენდა. მოსკოვში გამგზავრებამდე ჩემს მშობლიურ სოფელში, ბაილეთში ჩავედი. ვიფიქრე, დედას და ძმებს ვნახავ, გზას დამილოცავენ და ჩემპიონი გავხდები-მეთქი. გამომშვიდობებამდე ერთი დღით ადრე, დილადრიან, დედა ფეხშიშველი სადღაც გავიდა და გადაიკარგა. წერვიულობისგან კინალამ გავგიშდი. ის იყო, მოსაძებნად წასვლა დავაპირე და გამოჩნდა კიდეც. ვხედავ, მთლად ფეხებდასისხლიანებული მოდის.

ელდა მეცა, მაგრამ დამამშვიდა. შემოქმედში ვიყავი, ვიღოცე, რომ გაიმარჯვოო. ერთი ლამაზი, დეზებიანი მამალი გვყავდა. ის მამალიც თან წაუყვანია და ეკლესიის ეზოში გაუშვია. წინა ლამეს კი დასიზმრებია, რომ მე კვარცხლბეჭი ვდგავარ. დედაჩემმა წესიერად არც კი იცოდა, რა იყო ჭიდაობა და ოლიმპიური თამაშები, მაგრამ ის კი მითხრა, სადაც მიდიხარ, კვარცხლბეჭი ახვალ და როცა მიზანს მიაღწევ, პირჯვარი გადაიწერე და ღმერთს მადლობა უთხარიო.

უიმედოდ არც მანამდე იყო, მაგრამ დედის სიტყვებმა მთლად ფრთხი შეასხა, თუმცა ცოტას მაიც ნერვიულობდა. იქვე მოჭიდავებისთვის ერთი კაფე იყო. ხანდახან შედიოდა და ერთ-ორ ყლუპ ჩაის სვამდა. სხვა მოჭიდავებიც ასე იქცეოდნენ. ერთხელაც, უკვე სარბი-ელზე გასვლის დრო რომ მოვიდა, პირი გაუშრა. კაფეში შევიდა.

„ვხედავ, ჩაიზე რიგი დამდგარა. დრო ალარ იყო, ბიჭებს ვთხოვე და ურიგოდ გამიშვეს, მაგრამ მებუფეტე ქალმა შემომიბლვირა — აბა, ახლავე რიგში დადექიო. ისედაც ალმაცერად ვუყურებდი, რადგან სულ ქოთქოთებდა, ჭიჭყინებდა და ყველას ქოქოლას აყრიდა. კიდევ ერთხელ რომ აქოთქოთდა, ძალიან გავპრაზდი. ნერვები რომ მომეთოკა, შორიდან გამოვქანდი, კედელზე შევხტი და ზედ გავირბინე. იქვე ჩემი მწვრთნელი ჯემალ მეგრელიშვილი იდგა. დაუთვლია — თორმეტი ნაბიჯი გამირბენია. ეს რომ იმ რუსმა ქალმა დაინახა, კინაღამ თვალები გადმოსცვივდა. მერე წინასაფარი მოიხსნა, ძირს დააგდო, „კ ჩორცუ ვას ვსეხ“-ო და გავარდა. ჩემი ნერვიულობაც თან გაჰყვა.“

საერთოდ, კედელზე რბენა ვახტანგის „საფირმო გამოსცვლა“ იყო. ამით მეტოქეებზე ფსიქოლოგიურად მოქმედებდა, თვითონ კი ნერვიულობას ივიწყებდა, განიმუხტებოდა და საკუთარ მზადყოფნასაც ამონ-მებდა. კედელზე რვა ნაბიჯზე მეტი თუ გამოუვიდოდა, ესე იგი, ფორმაში იყო. ერთხელ თბილისში, „ფალავანთა კლუბში,“ ზედიზედ სამჯერ თორმეტ-თორმეტი ნაბიჯი გაირბინა.

„ამის მოწმე იყო ვალოდია მაისურაძე — შესანიშნავი პიროვნება და მწვრთნელი. მოფერებით ყველას „ხბოსთაოს“ გვეძახდა. ხანდახან,



როცა თავისუფალი იყო, პირდაპირ დარბაზში იცოდა დასვენება. მოჭიდავეების სავარჯიშოდ განკუთვნილ ადამიანის ფიტულს მუთაქასავით თავქვეშ ამოიდებდა და თვლემდა. იმ დღესაც, თითქმის ცარიელ დარბაზში, მე რომ ვხურდებოდი და ის თვლემდა, გავქანდი, კედელზე ავვარდი და ვალოდია მაისურაძეს თავზემოთ გადავურბინე. ერთხელ, მეორედ... მესამედაც რომ იგივე გავაკეთე, თვალი გაახილა, მშვიდად გადმომხედა და... შე ხბოსთაო, დამეკარგე აქედან, არ ჩამოვარდე და თავზე არ დამეცეო.


ერთხელ კისლოვოდსკშიც მოვიგიუიანე თავი. ეს, მართლაც, ნამდვილი სიგიჟე იყო, რადგან იმ დარბაზში შუშის კედელზე გავირბინე. მინამ რყევა და ზანზარი დაინყო. ეს შუშის კედელი თავზე არ დაგვემხოსოდა, გულგახეთქილი მოჭიდავეები გარეთ გაცვივდნენ. ამის მოწმე კი ჩემი მეგობარი და თანაგუნდელი, მსოფლიო ჩემპიონი მიხეილ სალაძეა.“

ერთი სიტყვით, მოსკოვში კედელზე გარბენით მეტოქეები გვარიანად დათრგუნა და ოლიმპიური ტურნირი, როგორც იტყვიან, რიხინ-რიხინით ჩამთავრა. ყოველი ბრძოლის მერე უურნალისტები კომენტარს სთხოვდნენ ხან რომან რურუას, ხან ასევე მსოფლიო ჩემპიონ მიხეილ სალაძეს, მსოფლიოს შვიდგზის და ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონს, ლეგენდარულ ალექსანდრ მედვედს თუ საბჭოთა ნაკრების უფროს მწვრთნელს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს გენადი საპუნოვს, რომელიც ვახტანგის მისამართით ქებას არ იშურებდნენ. თუმცა ეს ყველაფერი მერე გაიგო, როცა ოლიმპიური ბრძოლები უკან დარჩა და გაზეთები გადაიკითხა.

...პირველი შეხვედრა ფინელ ტაისტოსთან ექვს წუთში წმინდა გამარჯვებით დაასრულდა.

„ვახტანგი კარგადაა მომზადებული. თავს მშვენივრად გრძნობს და მისგან წარმატებას ველი,“ — თქვა ვახტანგის პირველი გამარჯვების მერე რომან რურუამ.

მეორე ბრძოლას ვახტანგმა ამის ნახევარი დრო მოანდომა — სამ წუთში ბერძენი ხოლიდისი დაამარცხა. კომენტარისას მიხეილ სალაძემ





ვახტანგ ბლაგიძეს ვერც
დგომის და ვერც
ჩოქანების ვერავინ
უმკლავდებოდა —
მეტოქეთა უმეტესობას
სულ რამდენიმე წამში
ნშინდად ამარცხებდა

თქვა: „ძალიან სწრაფია ვახტანგი, ფიცხელი და ნამდვილი მებრძოლი. ოლიმპიურ ხალიჩაზე ტოლი არ ჰყავს.“

ბერძენს ბულგარელი მლადენ მილადენოვი მიაყოლა. მასთან გამარჯვება შედარებით ძნელი გამოდგა. ძალისმიერი ბრძოლის მიმდევარი აღმოჩნდა. ვახტანგთან თავდაცვითი ტაქტიკა არჩია. ნაკლებად აქტიურობდა და ჩვენი ფალავნის შეცდომას ელოდა, მაგრამ ამაოდ მართალია, მასთან ბრძოლას დიდი ენერგია შეალია, მაგრამ ქულებით მაინც გაიმარჯვა.

„ბულგარელი მლადენოვი დიდი ვერაფერი მოჭიდავეა, მაგრამ მასთან ილეთის ჩატარება ძნელია: სულ მოძრაობს, მონინააღმდეგეს ახლოს არ უშვებს და დახურულად ჭიდაობს. ერთი სიტყვით, უხერხული მეტოქეა,“ — ამბობდა მიხელ სალაძე.

ამ „უხერხულ მეტოქესთან“ გამარჯვების მერე, სანამ მეოთხე წრის შეხვედრები დაინყებოდა, ვახტანგს ერთადერთი საჯარიმო ქულა ჰქონდა და ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე მისი მთავარი მეტოქეები. მლადენოვს ოთხი საჯარიმო ქულა ჰქონდა, ამდენივე — ჩეხოსლოვაკიელ ელინეკს და ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონს, უნგრელ რაცს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ჯინგას კი — ხუთი.

მეოთხე წრეში ჯინგა მთავარ ბრძოლებს გამოიეთიშა, ბლაგიძემ კი ჯერ წმინდად, ოთხ ნუთში დაამარცხა ელინეკი, მერე კი აშკარა უპირატესობით, ფინალური ბრძოლისთვის ქულათა უჩვეულო სხვაობით — 19:1 მოუგო რაცს.

უცნაურია, მაგრამ ის ერთადერთი ქულა... გაფრთხილების გამო დააკარგვინეს, ვითომ პასიურობისთვის, არადა, ქულას ქულაზე იღებდა. ბლაგიძის ასეთი აქტიურობის გამო ჯემალი გამნარებული იყო, ხმის ჩახლეჩამდე უყვიროდა, ქულა აღარ გინდა, ფრთხილად იყავიო, მაგრამ ბრძოლის მადაზე მოსული ველარ ჩერდებოდა.

„ლაიოშ რაცთან იოლი გამარჯვების მიუხედავად, მასთან ფინალური ბრძოლა ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო. ცოტა დალლილი მეჩვენა. იქნებ ამიტომაც თანაბარი ბრძოლა არ გამოგვიდა. თუმცა



ოლიმპიადამდე და ოლიმპიური ტურნირის მერეც რაცი არაერთხელ დამიმარცხებია.“

„შესანიშნავია, ბრწყინვალეა! სიტყვები არ მყოფნის აღტაცების გამოსახატავად. იშვიათია, როცა ოლიმპიური თამაშების ფინალში ასე-თი უპირატესობით იგებენ გადამწყვეტ შეხვედრას,“ — ეს ალექსანდრ მედვედის სიტყვებია.

ბრძოლის მერე, როცა ვახტანგ ბლაგიძე საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგა და ჩეხოსლოვაკიელი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ნევრი, დოქტორი ფრანგიშეკ კროეტი და ჭიდავობის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ ნოვიკოვი ოქროს მედალს გადასცემდნენ, დარბაზი ქუხდა: „ვახ-ტანგ!“ „ვახ-ტანგ!“ ამ დროს კიდევ ერთხელ გაახსენდა დედის სიზმარი, სადაც მიდიხარ, იქ კვარცხლბეკზე გხედავო.

„დედის სიტყვები მაშინაც გამახსენდა, როცა ფინალური ბრძოლა დავამთავრე და, დარიგებისამებრ, სარბიელს ვემთხვიე, პირჯვარი გა-დაგინერე და ღმერთს მაღლობა ვუთხარი. ამ პირჯვარს კი კინალამ გა-დამაყოლეს. სარბიელიდან ჯემალ მეგრელიშვილმა ხელმი აყვანილი გა-მიტაცა, მერე რომან რურუამ, ილია ჩხარტიშვილმა, ანზორ გვიმრაძემ, ჯუმბერ დავლიანიძემ და ელგუჯა ლუდუშაურმა ხვევნა-კოცნით დამახ-რჩეს. გასახდელიდან რომ გამოვდიოდი, ვიღაც რუსი ჩინოვნიკი ცხვირ-წინ ამეყუდა და შემომიბლვირა, ჩვენებურად რომ ვთქვა, რას მიქარავო. ალბათ კაგებედან იყო. იმ პირჯვარზე მეკითხებოდა. მე გაკვირვებული და დაბნეული შევყურებდი, რა უნდა, რაზე მელაპარაკება-მეთქი.

ერთი სიტყვით, დიდი ამბავი ატყდა. დროებით თუ სამუდამო დის-კვალიფიკაციას მიპირებდნენ, მაგრამ ისევ გენადი საპუნოვმა და საბ-ჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელმა ნიკოლაი პარხომენკომ მიხსნეს. იქ, „ზემოთ,“ ჯერ ისინი დაიბარეს. იმათაც ეთ-ქვათ: მაგის პირჯვარს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. რა ვუყოთ, სოფლელი ბიჭია. მასთან იდეურ-ალმზრდელობით მუშაობას კიდევ ჩავატა-რებთ და ჭკუაზე მოვა. სპორტიდან კი, აბა, როგორ მოვკვეთოთ, ნიჭი-



გახტანგ ბლაგიძე
პოლიგლოტი არ გახლავთ,
მაგრამ საერთო ენას
ყველასთან პოულობს.
სოფიაში, მოფლიო
უნივერსიადაზე
გადაღებულ ამ ფოტოზე
გახტანგი კუპელ
სპორტულერებთან ერთად
არის აღმარჩეული.
1977 წელი

ერია, თან ქვეყანა გაიგებს, რუსებმა ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი პირჯვრის გამო გააძევეს და პოლიტიკური სკანდალი ატყდებაო. როგორც ჩანს, ჭკუა ეყოთ და გადავრჩი. თუმცა ეს ამბავი თბილისში უცნობებიათ. აეროპორტში, სხვა ჩემპიონებისა და პრიზიორებისგან განსხვავებით, ცოლის მეტი არავინ დამხვედრია. არც საზეიმო მიღებები გაუმართავთ ჩემთვის. მხოლოდ მაშინდელი საქართველოს კომკავშირის პირველმა მდივანმა უიული შარტავამ ჩუმად, არაოფიციალურად მიმიღო, გამარჯვება მომილოცა და მკითხა, მოსკოვში ეგ რა გიქნიაო. მერე მითხრა, ბეწვზე ხარ გადარჩენილი. ისე, პირჯვარს მეც ვიწერ, მაგრამ ამას ვინმეს დასანახავად არ ვაკეთებო.



„გაუდეამუსის“ თანხლებით

ვახტანგ ბლაგიძემ ოლიმპიური ჩემპიონობით თავისი სპორტული ჯილდოების ყულაბაში უმთავრესი, ყველა ათლეტისთვის გამორჩეული ბრჭყვიალა ოქროს მედალი ჩააჩნიალა, თუმცა მისი დიდი კარიერა ამ ნადავლით არც დაწყებულა და არც დამთავრებულა. ოლიმპიური მიმავალ გზაზე ბლაგიძე თავის პირველ და გამორჩეულ წარმატებად 1977 წელს სოფიაში გამართულ უნივერსიადაზე გამარჯვებას მიიჩნევს. გარემოებათა დამთხვევის წყალობით ეს უნივერსიადა ჩემთვისაც, როგორც უურნალისტისთვის, ასეთივე გამორჩეული იყო. ამიტომ ამ უნივერსიადას მეც სიამოვნებით ვიხსენებ.

ასეთი ტურნირები იმ წლებში ძალზე პოპულარული იყო, იმდენად პოპულარული, რომ მას ოლიმპიური თამაშების უმცროს დას უწოდებდნენ. პოპულარობას ისიც განაპირობებდა, რომ იმხანად მსოფლიო ჩემპიონატები არ ტარდებოდა ოლიმპიური თამაშების მთავარ სახეობებში — მძლეოსნობასა და ცურვაში, აგრეთვე წყალბურთსა და წყალში ხტომაში. ამიტომ ამ სახეობების წარმომადგენლებისთვის უნივერსიადა, ოლიმპიური თამაშების შემდეგ, მსოფლიო დონის ერთადერთი შეჯიბრება გახლდათ. უნივერსიადის პროგრამაში კიდევ ექვსი სახეობა იყო: კალათბურთი, ფარიკაობა, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ფრენბურთი და სპორტული ტანვარჯიში.

გარდა ამისა, მასპინძელ ქვეყანას პროგრამისთვის კიდევ ერთი სახეობის დამატების უფლება ჰქონდა. რაკი კლასიკური ჭიდაობა ბულგარეთში ძალზე პოპულარული იყო, მასპინძლებმა ეს უნივერსიადა ამ სახეობით გაამდიდრეს.

დაიწყო უნივერსიადა. საბჭოთა სპორტსმენები მედალს მედალზე იგებდნენ. ყოველ სალამოს ხან უკრაინელ კოლეგას ვულოცავდი თანამემამულის გამარჯვებას, ხან — რუსსა თუ ბელარუსს. დასაწყისში მე ასეთი ბეჭდიერება არ მქონდა იმის გამო, რომ 24 აგვისტომდე საქართველოს ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ ავიდა საპატიო კვარ-

ცხლბეჭე. მერე კი მეც მიღოცავდნენ ვახტანგ ბლაგიძის ოქროს მედალს, მიხეილ სალაძის ვერცხლს, ავთანდილ მაისურაძის, თეიმურაზ აფხაზავას ბრინჯაოს, იგორ კუშპელიოვის მიერ ცურვაში დაკავებულ მეორე და მესამე ადგილებს. ვახტანგ ბლაგიძე პირველი იყო, რომელიც საპატიო კვარცხლბეჭე ავიდა. იმ დღეს, 24 აგვისტოს, „ფესტივალნის“ დარბაზში მისი გამარჯვების აღსანიშნავად გაისმა სტუდენტთა ჰიმნი „გაუდეამუს იგიტურ.“

მსოფლიოს სტუდენტ სპორტსმენთა ფორუმის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტი ამბობდნენ, ვისაც უნივერსიტეტი საზეიმო გახსნა, აგრეთვე კუბელი მძლეოსნის, სახელგანთქმული ალბერტო ხუანტორენას მიერ მსოფლიო რეკორდის დამყარება არ უნახავს, მას უნივერსიტადაც არ უნახავსო.

ამ სიტყვებს მე დავუმატებდი: ვისაც არ უნახავს კუბელის თანამემამულე ალეხანდრო კასანიასის ასევე მსოფლიო რეკორდის დამყარება და ჩვენი ვახტანგ ბლაგიძის ფანტასტიკური ჭიდაობა, არც მას უნახავს ის უნივერსიტადა.

თავისი პირველი მეტოქე, უნგრელი ევროპის ჩემპიონი რაცი ვახტანგმა წმინდად დაამარცხა. რაცს მოჰყვა რუმინელი მსოფლიო ჩემპიონი ჯინგა, რომელსაც 15:7-ზე მოუგო. შემდეგ იყო კვლავ წმინდად გამარჯვება, ამჯერად, ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორთან, კორეელ ბანგთან. ბოლოს კი — ფინალი, რომელშიც ქართველ მოჭიდავესთან ერთად ნაკლებად ცნობილი თურქი კარადაგი მოხვდა.

ვიდრე ვახტანგი საჭიდაოდ გავიდოდა, ვუთხარი: თუ ძმა ხარ, ეგ თურქი ისევე სწრაფად არ წააქციო, როგორც სხვები, თორემ ფოტოს გადაღებას ვერ ვასწრებ-მეთქი. ასე კი ვუთხარი, მაგრამ ერთი სული მქონდა, როდის დაინტებოდა და დამთავრდებოდა ჭიდაობა.

და აი, ბრძოლა დაიწყო. ვახტანგმა თურქს შეუტია, ქულას ქულაზე იღებდა, მაგრამ მონინაალმდეგე აერკეტი კაკალი გამოდგა. თუმცა ჩვენი ათლეტის უპირატესობა მაინც აშკარა იყო. ვახტანგი ამ ბრძოლაში გამძვინვარებულ ვეფხვს ჰგავდა. თურქმა ექვსი წუთი გაძლო. ქარ-



თველმა ფალავანმა კიდევ ერთ წმინდა გამარჯვებასთან ერთად უნივერსიადის ჩემპიონობა იზეიმა. ამ გამარჯვებით ვახტანგი, ფაქტობრივად, არათოციალური მსოფლიო ჩემპიონი გახდა — მის წონაში ხომ თითქმის ყველა უძლიერესმა მოჭიდავემ მოიყარა თავი.

სოფიაში საბჭოთა „კლასიკოსთაგან“ მხოლოდ ის და ავდიშევი (90 კა) გახდნენ ჩემპიონები.

როდესაც ვახტანგის გამარჯვების აღსანიშნავად „გაუდეამუსი“ ულერდა, ერთმა საბჭოთა მწვრთნელმა მითხრა: სწორედ ბლაგიძის მსგავსი ბიჭები ხდებიან ოლიმპიური ჩემპიონებით.

იმ საღამოს, ვინც ვახტანგის ბრძოლა ნახა, ყველა მასზე საუბრობდა. უურნალისტები გუნდ-გუნდად დასდევდნენ. პირველი ინტერვიუ ბულგარეთის რადიოს წარმომადგენელმა სთხოვა. რეპორტიორს ჯერ შეკითხვაც არ დაესვა, რომ ჩემპიონმა სხაპასხუპით დაიწყო პასუხი... ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს წინასწარ დარწმუნებული იყო გამარჯვებაში და უურნალისტთა სავარაუდო შეკითხვებზე პასუხები წინასწარ ჰქონდა მომზადებული. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რატომაც არა — ვახტანგი ხომ, სანამ სარბიელზე გავიდოდა, მუდამ დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. ის კი გამიკვირდა, რომ თქვა, ბრძოლები ძალიან ძნელი იყოო. ამით ალბათ ან მეტოქეთა მიმართ პატივისცემა გამოხატა, ან მისი იოლი გამარჯვებები მხოლოდ მოჩვენებითი იყო.

ასე იყო თუ ისე, იმ უურნალისტებმა, ვინც ბლაგიძე ვერ დაიმარტოხელეს, მე მტაცეს ხელი — აბა, ყველაფერი გვიამბე შენს თანამემამულეზეო. მეც ვუამბე, რაც ვიცოდი...

ავტოგუსიდან ჩამოგდეგული პიჭი


ვახტანგ ბლაგიძე ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში 1954 წლის 23 ივნისს დაიბადა. ოთხი წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა. გერმანე ბლაგიძე თავისი სამი ვაჟიშვილისთვის — ზაურისთვის, გივის-

თვის და ვახტანგის თვის საკუთარი ხელით სახლს აშენებდა. ხარაჩოდან ჩამოვარდა და ხერხემალი მძიმედ დაუშავდა. ლოგინად ჩავარდნილმა ექვსიოდე თვე იცოცხელა. ოჯახის სიმძიმე დედას — ვერა კილურაძესა და ვახტანგის უფროს ძმას — თხუთმეტი წლის ზაურს დააწვა კისერზე. ზაურმა დედასთან ერთად კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. ვახტანგი და ძმაზე ერთი წლით უფროსი გივი კი თითქმის უმეთვალყურეოდ რჩებოდნენ. ცოტა რომ წამოიზარდნენ, ოჯახი ჩოჩხათიდან 14 კილომეტრით დაშორებულ სოფელ ბაილეთში გადავიდა საცხოვრებლად.

ერთ მშვენიერ დღეს კულტურის სახლში კლასიკური სტილის მოჭიდავეთა რაიონული პირველობა ჩატარდა. პატარა ვახტანგმა თანასოფლელ გონერ ჩხარტიშვილს შეჯიბრებაზე წაყვანა სთხოვა. მომავალმა ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა ცხოვრებაში პირველად წახა წამდვილ მოჭიდავეთა შეჯიბრება. იმ პირველობაზე გონერ ჩხარტიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა. ვახტანგს სიამაყით აევსო გული. მოგვიანებით ბაილეთის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა მეექვსეალასელი ვახტანგ ბლაგიძე და მისი მეგობრები მახარაძეში, კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატის სანახავად ჩაიყვანა.

ჩემპიონატში კიდევ ერთ წონით კატეგორიაში ბრძოლები რომ დამთავრდა, დიქტორმა გამოაცხადა: ჩემპიონი გახდა ჩვენი რაიონის წარმომადგენელი ჯემალ მეგრელიშვილი. ამან პატარა ვახტანგ ბლაგიძეს ისევ სიამაყით აუვსო გული. ისიც ძალიან ეამაყებოდა, რომ მისი თანასოფლელი იური ხომერიკიც ჭიდაობდა. მასაც ასევე კარგად იცნობდა. იური უკვე საქართველოს ჩემპიონი იყო. ვახტანგს ხომერიკისა და ჩხარტიშვილის ნაცნობობით თავი მოჰქონდა და გადაწყვიტა თვითონაც ფალავანი გამოსულიყო, მით უმეტეს, რომ ჭიდაობა უყვარდა — სულ თავისზე უფროს და მძიმე ყოჩებთან ძიდგილაობდა. სწორედ მათ სთხოვა, ჭიდაობის სექციაში მიმიყვანეთო. პირველ ვარჯიშებს დახურული კარის ჭუჭრუტანიდან უყურებდა.

ახლა თავად ვახტანგ ბლაგიძის ნაამბობი გავიხსენოთ:



ვახტანგ ბლაგიძის
საერთაშორისო სპორტუ-
ლი კარიერა ძირითადად
ჯინგასთან და რაცეთის
ბრძოლებს უკავშირდება.
თითქმის არ ყოფილა შე-
ჯიბრება, რომ ქართველ
ფალაგანს მათთან ურთი-
ერთობა არ გაერკოის.
როგორც ყოველთვის,
ვახტანგ ბლაგიძე იმარ-
ჯვებდა და მეტოქებდა
წარმატების შანსს
ან უზოვებდა.

„ჩხარტიშვილმა და ხომერიკმა თავიანთ მწვრთნელს მიხეილ თავართქილაძეს სთხოვეს, იქნებ ეს ბიჭი თქვენს სექციაში ჩაწეროთო. თავართქილაძეს ჭუჭრუტანასთან მდგომი უკვე შემჩნეული ვყავდი და ბევრი არ მახვენინა. 1969 წელი იყო. მიხეილ თავართქილაძეს კაჯო მასწავლებელს ვეძახდით. მე ახლაც ასე მივმართავ. ბავშვები ძალიან უყვარდა. ყველანი დიდ სითბოს ვგრძნობდით მისგან. კაჯო მასწავლებელთან კვირაში სამჯერ მიწვდა ჩასვლა. ავტობუსის ფული რომ არ მქონდა, ფეხით დავდიოდი. ჩემი მწვრთნელი წვიმასა თუ თოვლში დასველებულ „ვალინქებს“ ღუმელთან მიშრობდა ხოლმე. უფროსი ძმა კი ჭიდაობაზე სიარულს მიშლიდა — რა დროს ჭიდაობაა, ოჯახში ათასი საქმე გვაქვს და მომეხმარეო. რამდენიმე თვის მერე, 1970 წელს, რაიონის ჩემპიონი გავხდი. დიპლომი რომ მივიტანე სახლში, ჩემი ძმა სიხარულით გაგიუდა. მას მერე ჭიდაობაზე სიარული აღარ დაუშლია. თუმცა, დიმიტრი კუპრაძე რომ არა, იქნებ მოჭიდავე არც გავმხდარიყავი. ჩემზე ოთხი წლით უფროსი იყო, მაგრამ განუყრელი მეგობრები ვიყავით. იმ დროს დიმა საქართველოს ახალგაზრდული პირველობის პრიზიორი იყო. მეუბნებოდა, თუ კარგად ივარჯიშებ, დიდი ჩემპიონი გახდებიო. მერე საჭიდაო ფორმაც მაჩუქა. ეს ჩემი პირველი ფორმა იყო. მართალია, შიგ ჩავვარდი, მაგრამ დედამ გადამიკეთა. სწორედ იმ ნაჩუქარი ფორმით მოვიპოვე პირველი გამარჯვება. დიმა ჭკუას მარიგებდა, ილეთებს მასწავლიდა. შეჯიბრებებზეც მას გავყავდი. ის ჩემი მეგობარიც იყო, მასწავლებელიც და მფარველიც. ერთხელ, მახარაძის სტადიონზე რომ დავობოდი, იქვე ჩემზე უფროს ბიჭებს ბურთი ბოსტანში გადაუვარდათ. აგდებულად მითხრეს, ე, ბიჭო, ეგ ბურთი მოგვიტანეო. ვვარჯიშობ-მეთქი. შემომესივნენ, კარგად მიმბეგვეს და სტადიონიდან გამაგდეს — აქ აღარ დაგინახოთო. სწორედ ამ დროს დიმა გამოჩნდა, გაცეცხლებული ეცა იმ ბიჭებს და ყველანი ლაზათიანად დათეთქვა. ორ მათგანს კი ქეჩიოში ჩაავლო ხელი, ჩემს ფეხებთან დაყარა და ბოდიში მოახდევინა. მას მერე უბატონოდ ხმა არავის გაუცია ჩემთვის. აი, ასეთი მეგობარი მყავდა. მერე ჩვენი გზები გაიყარა, დიმამ ნიკოლაევის პე-



დინსტიტუტში განაგრძო სწავლა, იქაურ მოჭიდავეებსაც ავარჯიშებდა. მერე გერმანიაში წავიდა. მის ამაგს არასოდეს დავივიწყებ. მისი წყალობით 1971 წელს ცხინვალში საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა მოვიგე. 1973 წელს საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა დავით დავითაიამ რესპუბლიკის ნაკრებში გამომიძახა და აღმა-ათაში გამართულ საკავშირო პირველობაზე წამიყვანა. მეორე ადგილით დაპრუნდი. იმავე წელს დავითაიამ დინამოელთა ნაკრებშიც ამიყვანა, რომელიც მთლიანად ქართველი მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული და მათთან ერთად სოფიაში ევროპის თასი მოვიგე. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მეორე ვიყავი. მალე დიდებში გადავედი და პირველივე საკავშირო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავე. იძულებული ვიყავი ჩემზე მძიმე მოჭიდავეებთან მებრძოლა. ყველაზე დაბალი წონითი კატეგორია 48 კილოგრამი იყო, მე კი ოთხი კილოთი შსუბუქი ვიყავი. ჩემთვის ბაილეთიდან მახარაძეში საგარჯიშოდ სიარულიც დიდი პრობლემა იყო. ერთხელ, უფრობის გამო, სიცხიანი მახარაძეში მიმავალ ავტობუსში ჩავჯექი. შოფერმა შუა გზაზე ჩამომავდო. მერე, მსოფლიო ჩემპიონი რომ გავხდი, იმ შოფერთან მივედი, ოქროს მედალი ვაჩვენე და ვუთხარი, მე ის ბიჭი ვარ, ვარჯიშზე მიმავალი ავტობუსიდან რომ ჩამავდე-მეთქი. ვიღაცას ეს ამბავი ავტობუსების პარკის დირექტორისთვის, იური ლომაძისთვის მოუყოლია. იმანაც არც აცია, არც აცხელა და ის შოფერი სამსახურიდან დაითხოვა — გაჭირვებულ ბავშვს ასე როგორ მოექეციო...“

ვახტანგ ბლაგიძის იმ გაჭირვებას, დარსა თუ ავდარში ბაილეთიდან მახარაძეში ფეხით სიარულს ორგზის მსოფლიო ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძის წყალობით მოეღო ბოლო. მაშინ ბალავაძე საქართველოს სპორტკომიტეტის ჭიდაობის სამმართველოს უფროსად მუშაობდა. „ჭიდაობის პროფესორს“ ბლაგიძის ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენია. მისი წყალობით ვახტანგმა თბილისში ამოყო თავი და სასწავლებლად მწვრთნელთა სკოლაში მივიდა. მისი მეურვეობა ჯემალ მეგრელიშვილმა ითავა, რომელიც ჯერ კიდევ ჭიდაობდა და მიუნხენის ოლიმპიურ თა-



ვახტაძე ბლაგიძე:

„ოლიმპიური ჩემპიონი
რომ გავხდი, ჯემალ
მეგრელიშვილმ ხელში
აყანალი გამიტაცა, მერე
რომან რურუამ, ილა
ჩხარტიშვილმა, ანზორ
გვიმრაძემ, ჯუმბერ
დავლიანიძემ და ელგუჯა
ლუდუშაურმა ხვევნა-კოც-
ნით კინალამ დამახრჩეს.“



მაშებშიც მონაწილეობდა, მერე კი ბლაგიძის მეორე მწვრთნელი გახდა. მაღლე ვახტანგი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს.

პაილეთელი ჯარისკაცი

მედა ვახტანგ ბლაგიძე თბილისის ერთ სამხედრო ნაწილში მოვხვდით. სამხედრო სამსახურით, ვამბობ, თორემ საბჭოთა ჯარის გემო, ასე თუ ისე, მხოლოდ ორთვიან კარანტინში ყოფნისას გავიგეთ. ვახტანგი, როგორც სპორტსმენი, მერე ყაზარმაში აღარავის უნახავს, მე კი, რამდენიმენიანი შურნალისტური გამოცდილებით, დივიზიონის გაზეთში გამამწესეს.

ნოემბრის იმ დღეს, როცა ყაზარმაში შეგვრეკეს, ჩვენთან ერთად საქართველოში მცხოვრები კიდევ რამდენიმე ახალწვეული აღმოჩნდა. დინამოელი სპორტსმენები იყვნენ, თორემ თბილისში ვინ დატოვებდა, თუ, რა თქმა უნდა, საქმეში გავლენიანი ბიძები, ნათლიები ან ქრთამი არ ჩაერეოდა. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი ზურაბ წერეთელი, რომელიც მერე ტაშკენტის „პახტაკორში“ თამაშობდა. ყაზარმაში ჩვენთან ერთად მოხვდა სოხუმელი ხუთჭიდელი იური სამსონოვი, ვინც უკვე მრავალი წელია მოჭიდავეებს ავარჯიშებს. ზურგს კი გვიმაგრებდა ვიქტორ სანეევი, რომელიც იმ წელინაში მესამედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. ვიქტორი ჩვენი სამხედრო ნაწილის სპორტკულუბს ხელმძღვანელობდა.

ჯარისკაცური ცხოვრების პირველი დღეები, უფრო სწორად, ორთვიანი კარანტინი ყველა ჩვენგანისთვის ძნელი იყო. დილის ბინდბუნდში „პადიომის“ ღრიალით წამოგვყრიდნენ. დაღამდებოდა და „ატბოის“ ყვირილით გვაძინებდნენ. დღისით პოლიტმეცადინეობებით გვილაყებდნენ თავს და ქარსა თუ წვიმაში სამწყობრო სიარულით ჩექმებს გვაცვეთინებდნენ. სამწყობრო სიარულით და რაღაც სულელური სიმღერით მიგვერეცებოდნენ ყაზარმებშიც, სასადილოშიც და ტუალეტშიც. ახლა ეს გაუთავებელი „ჩისტკა არუშია...“

ერთი სიტყვით, ის კარანტინი ნამდვილი საბჭოთა ჯარი იყო და თუ ჩვენ სხვებზე ადრე შევეგუეთ ახალ ატმოსფეროს, ახლებურ დღის რეჟიმს, ამას სულ ბაილეთელ ჯარისკაცს უუმადლოდით. ვახომ უცებ ყველასთან გამონახა საერთო ენა. მოწყენილი არავის უნახავს. მისი ხალისი ჩვენც გვამხნევებდა და გვახალისებდა, თუმცა ხანდახან თავისი ხუმრობებით ყველას შარში გვხვევდა.

წლების მერე, უკრაინელი კოლეგა იან დიმოვი ქართველ ფალავ-ნებს წიგნს რომ მიუძღვნის, ვახტანგ ბლაგიძეზე დაწერს:

„გავრცელებულია აზრი, რომ ოლიმპიურ ჩემპიონს ვახტანგ ბლა-გიძეს არა აქვს იუმორის გრძნობა. სერიოზული და საქმიანი კაცია. მის სახეზე ღიმილს იშვიათად ნახავთ. შეფიქრიანებული, მე ვიტყოდი, გა-ჯავრებული გამომეტყველება იმ ადამიანებს ახასიათებს, რომლებსაც რაღაც დაავიწყდათ. ერთი სიტყვით, დაბლვერილი, გაუცინარი კაცია ეს ბლაგიძე...“

ეს პორტრეტული შტრიხები ვახტანგ ბლაგიძისთვის, ერთი შეხედ-ვით, იქნებ ზედგამოჭრილია, ოღონდ, ეტყობა, იან დიმოვს ჩვენი წიგნის გმირთან ერთად ფუთი მარილი არ უჭამია. მაგრამ ახლა მე მკითხეთ...

ვახტანგის ჯარისკაცურ ოინებზე გიამბობთ.

იმას ვამბობდი, სამწყობრო სიარულით გული გვქონდა გაწყალე-ბული. იმ სიარულისას ეს ჩვენი ვახო ხანდახან განგებ ფეხს აურევდა და მთელი ასეული აცაბაცა დადიოდა. ამაზე მთელი შემადგენლობის-თვის ჯარიმა იყო გამოწერილი — ხუთი წრე ორკილომეტრიან მოედან-ზე სირბილით. მერე ისევ სამწყობრო სიარული, ისევ ვახოს ხუშტურები და ისევ ენაგადმოგდებული სირბილი.

ვახოს ცელქობის რეპერტუარში სტვენაც იყო. ჩექმების ბრახუ-ნით სასადილოსკენ ან ტუალეტისკენ ჯარისკაცური სიმღერით რომ მიგვერეკებოდნენ, ამ დროს ვახო დაუსტვენდა და რომელიღაც ჩი-ტივით ჭიაჭიკებდა, რაზეც სერუანტები თუ ზემდეგები გიუდებოდ-ნენ. ყველაფერი ეს ისევ იმ ორკილომეტრიან მოედანზე ჯარიმით მთავრდებოდა.



ერთხელ ამ ჩვენმა ვახომ სადღაც „მსხვილკალიბრიანი“ ოფიცრის ვარსკვლავი გამოჩერიკა და მკერდზე დაიბნია. ამის დანახვაზე ერთ ოფიცერს თვალები გადმოსცვივდა — ეგ რა არისო. რა და, „ია შერიფო.“ შერიფო და... ისევ იმ მოედანზე გვადურთინეს თავი. ვახოს გადამკიდე, იმ ასეულის წევრები სტაიერულ რბენაში ისე დავოსტატდით, რომ ერთხელ, სადღაც მარნეულის მხარეს, „უჩინიებზე;“ გაქცეული „მტერი“ თუ „დივერსანტები“ სხვა ასეულებზე ერთი საათით ადრე „დავიჭირეთ.“

ამ უწყინარ ხუმრობებთან ერთად ვახომ გადამლაშებაც იცოდა. განსაკუთრებით ერთი ამბავი დამამახსოვრდა.

იმ სამხედრო ნანილის რიგითი შემადგენლობა თითქმის მთლიანად შუა აზიის აულებიდან ჩამოყვანილი ბიჭებით იყო დაკომპლექტებული. რუსულის ინჩიბინჩი არ გაეგებოდათ. რუსები მათი ზემდეგები იყვნენ. იმ სანყლებს აბუჩად იგდებდნენ, ქართველ სპორტსმენებს კი რიდით ექცეოდნენ. ერთი სიტყვით, ის გაჭირვებული შუაზიელები სულ ქართველთა საქომაგონი იყვნენ. ერთხელაც, ჩემთვის რომ ეზიგარ და რაღაცაზე ვფიქრობ, ხუთი-ექვსი დაფეხთებული შუაზიელი მორბის, რაღაცას მეუბნებიან და თან სადღაც მექაჩებიან. ერთი ეს კი გავიგე, „ვახო,“ „ვახო“ და „დნევალნი,“ „დნევალნიო.“

ის „დნევალნიც,“ რაღა თქმა უნდა, შუაზიელი იყო. კისერზე კალაშნიკოვი ჩამოკიდეს, წელზე — იმ ავტომატის „შტიკნოჟი“ და თარჯიმის მეშვეობით ძლივს გააგებინეს, ასეულის შესასვლელში იდექი, უცხო არავინ შეუშვა და აქაურობას უდარაჯეო.

შემარბენინეს ყაზარმაში და რას ვხედავ — თავის ადგილზე, კედელთან დგას ხელში ავტომატჩაბლუჯული „დნევალნი.“ რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით თითქმის მთელი ოცეული მოგროვილა. ოცეულსა და „დნევალნს“ შორის კი ვახო ჩამდგარა, ხელში ჯაყვები უჭირავს.

ვახომ, სერიოზული სახით, ჯერ ერთი ჯაყვა გახსნა, „დნევალნის-კენ“ გააქანა და მარცხენა ყურის ძირში კედელს გაურჭო. მერე მეორე



ოლიმპიადაზე გამარჯვების
შემდეგ პირველ
შიმლოცველთა შორის
იყვნენ რომან რურუა და
ილია ჩხარტიშვილი

ჯაყვა გახსნა და მეორე ყურის ძირში ჩაასო, მესამე — თავს ზემოთ. მე-
რე მივიდა, დანები ამოაძრო და ყველაფერი თავიდან დაიწყო.

ის უბედური „დნევალნი“ კი, როგორც უბრძანეს, ქანდაკებასავით
დგას, ყოველ სროლაზე დაფეხებული მხოლოდ თვალებს ახამხამებს.
ან რა უნდა ქნას, როცა ვახოს დანებზე მეტად რუსი ოფიცრების ეშინია
— „ბოსტიდან ფეხი არ მოიცვალო, თორემ...“

ერთი სიტყვით, ვახო „დისბატს“ თუ არა, ჰაუპტვახტს მაინც გადა-
ვარჩინე. თავისი ჯარისკაცური ოინბაზობა კი ჭიდაობით დაიწყო.

იმ დღეს, ჯარისკაცები თავისთვის რომ ბლლარძუნობდნენ, ვი-
ღაც ახმახს ვახო თვალში ეპატარავა და დაჩაგვრა მოუნდომა, მაგრამ



ძალიან გაწბილდა. მერე ვახოსთან მეორემ სცადა ბედი, მესამემ... მისი მომრევი რომ არავინ გამოჩნდა, გაიქცნენ და ერთი ჯანიანი, ორი ვახოსოდენა მოსკოველი ბიჭი მოიყვანეს. ფარაჯაზე სპორტის ოსტატის ნიშანი ჰქონდა დაბნეული. ვახოს რომ შეხედა, განზე გადგა — მე ნამდვილი მოჭიდავე ვარ, ამას თავს როგორ გავუყადრებო. ამაზე ვახო დასაკლავი გოჭივით ატყდა — თუ ბიჭი ხარ, დამეჭიდეო. მოსკოველი გაბრაზდა, ვახოსკენ გამოქანდა და.... ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. სპორტის ოსტატმა ისეთი ზღართანი მოადინა, რომ ვიფიქრე, წელმოწყვეტილი ველარ ადგება-მეთქი. მაგრამ რუსი ნამოხტა და აბდუშაპილივით თავი იმართლა, მე ჯერ მისალმება არ

მსოფლიო უნივერსიადის
პრიზიორები.
სოფია, 1977 წელი

დამემთავრებინაო. იგივე მოხდა მეორედ, მესამედ... ბოლოს ჩვენმა ჯილამ უთხრა, ფორად ფეხს დაგაკავებინებ, მაგრამ მაინც ვერ წა-მაქცევო.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ვახოს — ის დანაქადი.

ოთხი წლის მერე, ჩვენი ბაილეტელი ჯარისკაცი მოსკოვის ოლიმპი-ური თამაშების ჩემპიონი რომ გახდა, დარბაზიდან გამოსულს ის მოს-კოველი სპორტის ოსტატი ელოდა. ჩემპიონობა მიუღოცა, მეგობრებ-თან კი თავი მოიწონა — ეს ჩემი ძველი მეგობარია, თბილისში, ჯარში ერთად ვმსახურობდითო.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ ჯარისკაცურ-სპორტული ცხოვრების ეპიზოდებს.

ქვედანაყოფში ჭიდაობის ყველა მსურველი ბეჭებზე რომ დასცა, აქოშინებულმა თანამემამულებთან დაიტრაბახა: ჯერ დაიცადეთ, ცო-ტა ხანში კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო შეჯიბრება ჩა-ტარდება და ნახეთ, თუ სამეულში არ მოვცვდეო.

ეს სიტყვები ყველამ მორიგ ხუმრობად ჩათვალა, რადგან, ჯერ ერ-თი, ჭიდაობის მოყვარულთა ფართო საზოგადოება მას მაინცდამაინც არ იცნობდა და, მეორეც, მის წონაში (52 კგ), 1952 წლიდან მოყოლებუ-ლი, საქართველოს არც ერთი ნარმომადგენელი საკავშირო შეჯიბრე-ბათა საპატიო კვარცხლბეკზე არ ასულა. გავიდა ხანი. და აი, საქართვე-ლოს პრესაში ვკითხულობთ:

„ულიანოვსკში დამთავრდა სსრ კავშირის კლასიკური სტილის მო-ჭიდავეთა ჩემპიონატი. 52 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი რესპუბლიკის ნარმომადგენელმა ვ. ბლაგიძემ მესამე ადგილი დაიკავა...“

ამ მოკლე და ძუნნმა ინფორმაციამ ყველა გაგვახარა — ვახტანგ ბლაგიძე ხომ სწორედ ის ჩვენი ოხუნჯი ჯარისკაცი გახლდათ.

იმ ტურნირზე ვახომ ექვს შეხვედრაში ექვსი წმინდა მოგება იზე-იმა. დამარცხებულთა შორის იყო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, მინსკელი ვლადიმერ ზუბკოვიც. მეშვიდე შეხვედრაში ვახტანგმა ერ-თადერთი მარცხი იწვინა — მას ერთი ქულით აჯობა სსრ კავშირის მრა-



ვალგზის ჩემპიონმა, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, კი-როველმა ვლადიმერ შატუნოვმა.

შემდეგ იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, დრეზდენი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ზელენბინდერის სახელობის დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თვრამეტი ქვეყნის „ელასიკოსები“ ჩაეტნენ.

ბლაგიძე იქაც გამარჯვებულთა შორის იყო — ექვსი ბრძოლა წმინდადად მოიგო, ერთიც — ქულებით.

ერთ მშვენიერ დღეს, კარანტინმოვლილმა ვახტანგ ბლაგიძემ სამხედრო ნაწილში რომ „შემოიარა,“ მეთაურებმა იხმეს.

— თბილისში ამიერკავკასიის სამხედრო ჯარების პირველობა ტარდება სამბოში, შენს ნონაში კაცი გვაკლია, ბედს ხომ არ ცდიდი?


— ვეცდები გავამართლო თქვენი იმედები, ამხანაგო მეთაურო!

და გაამართლა კიდეც — ყველას აჯობა. ესეც 1976 წელს იყო. სულ მალე, სამხედრო ნაწილში თავისი უფლება რომ მომცეს და დივიზიის გაზეთან ერთად ჩუმ-ჩუმად მშობლიურ „ლელოშიც“ ვთანამშრომლობდი, დამავალეს, ჩვენს თანამემამულე სპორტსმენ ჯარისკაცზე, რომელიც ამავე დროს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია, წერილი დაწერეო. აბა, რა მოგახსენოთ, რადგან ჩვენი ვახო, როგორც სპორტსმენი, ამ საქმისგან თავისუფალი იყო, თუმცა „დღიურში“ სულ ფრიადებს უწიკწიკებდნენ. ბლაგიძეზე უკეთესს ვის მოვძებნიდი. ნაწილში რომ მოვიკითხე, მითხრეს, მაგას აქ რა უნდა, ერთთავად შეკრებაზეა. ახლაც იქ არის, საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად, ამა და ამ სასტუმროშიო. მისამართიც მომცეს.

იმ სასტუმროს ნომერში, ვახოს საწოლის თავზე, სურათი ეკიდა. თავად იყო ალბეჭდილი, ბროლის თასით ხელში.

გამახსენდა თბილისი, ხალხით გაჭედილი „დინამოს“ სტადიონი.

საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა გუნდი ბროლის თასით ხელში საპატიო წრეს უვლის. თან მქუჩარე ტაში მიაცილებს. ტაშის დამკვრელთა შორის არიან ბლაგიძის თანამებრძოლები, რომ-





ნამიც და გახტანგ ბლაგიძე
თავის მეტოქეს სალიჩაზე
ბეჭებით გააქრავს

ლებიც წესრიგის დასაცავად მოუყვანიათ და სარბენი ბილიკის გარშემო დაუყენებიათ. „კლასიკოსები“ პირდაპირ სპორტის სასახლიდან, საკავშირო თასის გათამაშებიდან მოვიდნენ სტადიონზე. ქართველი ფალავანთა შორის ჩვენი ნაცნობი ჯარისკაცის გაბადრული სახეც დავინახეთ...

ახლა კი სტადიონიდან ისევ სასატუმროში დავბრუნდეთ.

— რამდენიმე დღეში ტაშკენტში, საკავშირო შეჯიბრებაზე გამოვალ. თავს კარგად ვგრძნობ, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ, — მეუბნება ვახტანგი და რალაც სასაცილო ამბავს იხსენებს. ჩვენთან ერთად გუნდის კაპიტანი, 1973 წლის მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ესტატე გოგლიჩიძეც გულიანად იცინის.

ოთახში ორი საწოლია. ერთი მჩატე წონის მოჭიდავეს ეკუთვნის, მეორე — მძიმეწონოსანს.

— ვახოს, ცოტა არ იყოს, დალვინება აკლია. სულ დარბის, ოხუნჯობს, კამათობს. ჰოდა, გუნდის წევრებმა მითხრეს: ესტატე, შენ, როგორც ჩვენი გუნდის ყველაზე სერიოზული კაცი, ვახოსთან ერთად იცხოვრებ. იქნებ რამე გამოგივიდეს — ხომ გაგიგონია, ხარი ხართან დააბიო... მაგრამ ისე ვატყობ, ვახტანგმა გადამდოს თავისი ზნე და ფერი, — სიცილით ამბობს ესტატე.

მომავალ გამარჯვებათა პრელუდია

1978 წელი განსაკუთრებულია ვახტანგ ბლავიძის ბიოგრაფიაში. იმ წელიწადს პირველად გახდა ევროპის, მერე კი მსოფლიო ჩემპიონი. ევროპისა და მსოფლიოს საპატიო კვარცხლბევისკენ მიმავალ გზაზე უნივერსიადის ჩემპიონობამ ფალავანს საბოლოოდ აუზოო მწვანე შუქი. საბჭოთა ნაკრების კანდიდატად 1976 წელს შეიგულეს, როცა ჭაბუკობა უკან დარჩა და დიდების ტურნირებში ჩაება. იმ წელიწადს, საბჭოთა



კავშირის ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი რომ მოიპოვა, თავბრუდამხვევი აღმასვლაც დაიწყო ნაკრებში დასამკვიდრებლად. მოუგო თითქმის ყველას, ვინც მეტ-ნაკლებად რამეს წარმოადგენდა. შინაური კონკურენტები რომ აღარ გაახარა, ახლა უცხოელ ფალავნებს დაერია. 1977 წელს სოფიაში გამართულ ერთ-ერთ პრესტიულ ტურნირზე — ნიკოლ პეტროვის სახელობის მემორიალზე — ყველა დაამარცხა. იგივე გამეორდა მომდევნო წელსაც.

კარგად ახსოეს სტამბულის საერთაშორისო ტურნირი. ზედიზედ შვიდ თურქთან მოუხდა ჭიდილი. ბრძოლის დაწყების წინ საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი შამილ ხისამუდტინოვი აგულიანებდა — შენი წინაპრები გაიხსენე, ერთზე ათი რომ მოდიოდაო. მაგრამ ჩვენს ჯილას ნაქეზება რად უნდოდა. იმ თურქებსაც შავი დღე აყარა — ორს ქულებით მოუგო, დანარჩენებთან კი წმინდა გამარჯვება იზეიმა.

ამ დროისთვის ვახტანგ ბლაგიძეს „შინაურ“ სარბიელზე საბჭოთა ნაკრების კანდიდატთაგან უკვე დამარცხებული ჰყავდა მინსკელი ვლადიმერ ზუბკოვი, კიეველები ვიტალი შუკი და ვალერი შატუნოვი, ერევნელი ვალერი არუთინოვი, ულიანოვსკელი ვიტალი კონსტანტინოვი... მათ აქტივში მეტ-ნაკლებად იყო ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ოქრო-ვერცხლი. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ზუბკოვი, ოთხ ზის მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ ბლაგიძემ მასაც ბდელვირი ადინა — 16:2 მოუგო, ვიტალი კონსტანტინოვი კი ვახტანგთან დამარცხების მერე მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა. მონრეალში მის ნაცვლად ვახტანგ ბლაგიძე რომ წაეყვანათ, ვინ იცის, იქნებ ისიც პირველობას დაუფლებოდა, მაგრამ იმ დროს ბაილეთელი მოჭიდავე დიდ სარბიელზე გამოუცდელი იყო და საბჭოთა ნაკრების მწვრთნელები ჯერ კიდევ აკვირდებოდნენ. მაგრამ ნიკოლ პეტროვის მემორიალებსა და მსოფლიო უნივერსიადაზე გამარჯვებებმა ყველას თავისი ადგილი მიუჩინა, მით უმეტეს, რომ ბლაგიძეს უკვე დამარცხებული ჰყავდა იმხანად საერთაშორისო სარბიელზე გაბატონებული რუმინელი ჯინგა და უნგრელი რაცი. ვახტანგი უკვე გამოცდილ, დაღვინებულ მოჭიდავე-

სავით იბრძოდა. თითქოს ისევ ძველებურად, თამამად და ღიად უტევდა მეტოქეს, მაგრამ სპეციალისტები ამჩნევდნენ, რომ იერიშზე გადას-ვლისას ფრთხილობდა. ახლა მისი თითოეული მოძრაობა, ყოველი ილე-თი გათვლილ-გამოზომილი იყო. სხვა ილეთებთან ერთად მის არსენალში კიდევ უფრო დაიხვეწა ჩავლება და გდება, რასაც სულ უფრო მეტი მოწინააღმდეგი ენირებოდა.

ერთი სიტყვით, ნათელი იყო, რომ ქართველი ფალავნის სახით „კლასიკოსთა“ ცის კაბადონზე ამოდიოდა ახალი მნათობი, რომელსაც ყველა უძლიერესი ახლა უკვე ოფიციალურ შეჯიბრებებზე — ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში და ოლიმპიურ თამაშებზე უნდა დაეჩრდილა. პირველი წარმატება ოსლოში, ევროპის ჩემპიონატზე მოვიდა.

ოსლო, 1978

სპორტში პროგნოზები უმაღური საქმეა, მაგრამ ვარაუდებს მაინც გამოთქვამენ. მე ვახტანგ ბლაგიძეს ოსლოში ჩემპიონობა ვუნინასწარ-მეტყველე. ის მართლაც ოქროს მედლით დაბრუნდა იქიდან. საქმე ის არის, რომ ვახტანგს ჩემი მისნობა კარგად ჰქონდა დაცლილი. ჯერ კი-დევ მაშინ, სამხედრო სამსახურში ყოფნისას, როცა ჯარისკაცებს და-ერია და ერთმანეთის მიყოლებით მიყარ-მოყარა, „ლელოში“ დაეწერე, ეს ბიჭი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მედალს მოიპოვებს-მეთქი. მოიპოვა კიდეც. მერე სოფიაში, პეტროვის ტურნირზე, გამარჯვება ვუ-ნინასწარმეტყველე. არც მაშინ მიმტყუნა ალლომ. ბულგარეთის დედა-ქალაქში მსოფლიო უნივერსიადაზე გამგზავრებამდე ნათელმხილვე-ლობაში კიდევ ერთხელ რომ „გცადე ძალა,“ ისევ გამიმართლა და ამან ვახტანგის თვალში ლამის ნამდვილ წინასწარმეტყველად მაქცია. რაკი ჩემს სიტყვას, მისი აზრით, დოპინგის ძალა ჰქონდა, მეც თავი მომაქს — ბლაგიძის მიერ ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლის მოპოვებაში ჩემი ხელიც ურევია-მეთქი.



ეს ისე, ხუმრობით, თორემ ვახტანგ ბლაგიძეს ნორვეგიის დედაქალაქში, მე კი არა, მისმა ნიჭმა, შრომისმოყვარეობამ და მიზნისკენ დაუღვებელმა სწრაფვამ გაამარჯვებინა, თავად კი იმ ჩემპიონობას... კოტე მახარაძეს უმადლის, ძალიან ემადლიერება თანაგუნდელ ავთანდილ მაისურაძეს და, რა თქმა უნდა, თავის მეორე მწვრთნელს ჯემალ მეგრელიშვილს.

„ჯემალ მეგრელიშვილი მაშინ ჯერ კიდევ თვითონაც ჭიდაობდა, თან მე მავარჯიშებდა, — იხსენებს ვახტანგ ბლაგიძე, — ოსლოში მწვრთნელად მახლდა და ჩემს მაშინდელ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. ოქროს მედლის მოპოვებაში ძალიან დამეხმარა ავთანდილ მაისურაძეც. ისიც საბჭოთა ნაკრებში იყო და ევროპის ჩემპიონობისთვის იბრძოდა, მაგრამ ოსლოში ჩემზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე საკუთარ თავზე. გვერდიდან არ მომცილებია და ბევრ რჩევა-დარიგებას მაძლევდა. ყოველი ჭიდაობის წინ მაგულიანებდა, საბრძოლო განწყობას მიქმნიდა. ერთი სიტყვით, საკუთარი თავი დაივიწყა და მე გადამყვა. იქნება ამიტომაც მე ჩემპიონი გავხდი, ავთოს კი ბრინჯაოს მედლამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა — მეოთხე ადგილზე გავიდა.

რაც შეეხება კოტე მახარაძეს, მას ცენტრალური ტელევიზიისთვის ოსლოდან რეპორტაჟები მიჰყავდა. ის იყო, პირველი ბრძოლისთვის ხალიჩაზე უნდა გავსულიყოყავი, რომ ბატონმა კოტემ მიკროფონი მიატოვა, სირბილით მოვიდა ჩემთან და მითხრა: აბა, გურულო, შენ იცი, ყველა ბრძოლა უნდა მოიგო. შენ ეს შეგიძლია და იცოდე, ჩემპიონი უნდა გახდეო. მხარზე ხელი დამკრა და ისევ თავის მიკროფონთან გაიქცა.


მართლაც ყველა ბრძოლა მოვიგე, ფინალში კი იმ დროს უკვე ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ჯინგა 9:2 დავამარცხე. ეს შეხვედრა რომ დამთავრდა, კოტე მახარაძემ ისევ მიატოვა მიკროფონი და ოფლში გახვითქულს გადამეხვია — აი, ხომ გეუბნებოდი, ჩემპიონი გახდებიმეთქი. ვუპასუხე: „პატონო კოტე, ჩემპიონი სწორედ თქვენი წაქეზებით გავხდი.“ ოქროს მედალს რომ მკიდებდნენ, ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა. ეს ჩემი პირველი დიდი წარმატება იყო, რაც მსოფლიო ჩემპიონატისკენ მიხსნიდა გზას.“



მეცნიერება, 1978

ნორვეგიაში მოპოვებული ოქროს მედლით გამოწვეული სიხარული ჯერ არ განელებოდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის დაიწყო მზადება.

„ოსლოში იმდენად დამაჯერებლად მოვიგე ყველა შეხვედრა, რომ ნაკრებში უკონეურენტო პირველი ნომერი ვიყავი, სხვები კი, ჩვეულებისამებრ, სხვადასხვა შეჯიბრებაზე გამოსცადეს. ზოგსაც გუნდში ადგილის მოსაპოვებლად ნაკრების კანდიდატებთან დამატებითი ბრძოლების გადატანა მოუხდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მსოფლიო ჩემპიონატზეც გავიმარჯვებდი. ერთადერთი, რაც მაფიქრებდა, ეს მესიკოს სიმაღლე იყო (2 500 მ ზღვის დონიდან). ყველა მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებს და იქ გამართულ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს იხსენებდა, როცა ბევრ სპორტსმენს უანგბადის უკმარისობისგან გული ულონდებოდა, თუმცა თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ამ პრობლემისგან



ვახტანგ ბლაგიძის თითო-ეული მოძრაობა, ყოველი იღეთი გათვლილ-გამოზო-მილი იყო. სხვა ილეთებთან ერთად მის არსენალში კიდევ უფრო დაიხვევა ჩავლება და გდება, რასაც სულ უფრო მეტი მონიბა-ალმდეგე ეწირებოდა.

არავინ მომკვდარა და ყველანი ერთნაირ პირობებში ვიქნებოდით. ამ ჩემპიონატისთვის, ოლიმპიური თამაშების მონაწილე საბჭოთა დელე-გაციის დანარჩენი წევრებივთ, სომხეთში, მაღალმთიან წახაძორში ვემზადებოდით, დასკვნითი შეკრება კი მინსკში გვქონდა...“

ყველასთვის მოულოდნელად, მეხიერა მსოფლიო ჩემპიონატი ვახ-ტანგ ბლაგიძემ დამარცხებით დაიწყო. არადა, ბულგარელ ნიკოლა ბო-რისოვთან ჭიდაობა ცუდს არაფერს მოასწავებდა — ჩვენი ფალავანი იგებდა, ბოლოს კი ერთი ქულით წააგო.

„მაშინ რაღაცამ მანყინა და შეუძლოდ ვიყავი. მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ყველა შეხვედრას ვიგებდი. ფინალისკენ მი-მავალ გზაზე რაცსაც მოვუგე, ჯინგასაც, რომელმაც ჩემი მძლეველი ბულგარელი დაამარცხა. ჯინგა სამგზის მსოფლიო ჩემპიონობას აპი-რებდა, მაგრამ ვგრძნობდი, ყველაზე მეტად მე მიფრთხოდა. თუმცა ისიც ვიცოდი, რომ ჩემთან საჭიდაოდ მაქსიმალურად მომზადებული გამოვიდოდა.“

ამ შეხვედრას სპეციალისტებიც უდიდესი ინტერესით ელოდნენ. ამ ბრძოლაში სასწორზე იდო არა მარტო ოქროს მედალი, არამედ პრესტიჟიც. ჯინგას უნდა დაემტკიცებინა, რომ ოსლოსა და სოფიაში ბლაგიძესთან შემთხვევით წააგო, ჩვენს ფალავანს კი, პირიქით, კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვა თავისი უძლეველობისთვის.

დაიწყო ბრძოლა. მეტოქები გაშმაგებით ეკვეთნენ ერთმანეთს. თავიდან ჯინგა დაწინაურდა — ელვისებური ილეთით ორი ქულა აიღო. აიღო და მაშინვე პოზიციურ ბრძოლაზე გადავიდა.

„ჯინგა ბევრს მოძრაობდა, ვითომ ბრძოლა უნდოდა, სინამდვილეში კი ჭიდაობას გაურბოდა. ამას ისე ეშმაკურად აკეთებდა, რომ მსაჯები მის პასიურობას ვერ ამჩნევდნენ. ან იქნებ კარგადაც ხედავდნენ, მაგრამ ჯინგას ტიტულები მათზე მოქმედებდა. ჯინგას ეხმარებოდა მისი თანამემამულე მსაჯი ჩერნიც — ისიც ჩემს დამარცხებას ცდილობდა. რალა დამრჩენოდა... მიუხედავად იმისა, რომ ამ სიმაღლეზე სუნთქვა ჭირდა, იერიშზე გადავედი და ანგარიში გავათანაბრე. ჯინგაც გააქტიურდა. ქულა ხან აქეთ ინერებოდა, ხან — იქით. შეხვედრის დამთავრებამდე თხუთმეტი წამით ადრე ქულით დავწინაურდი — 7:6, მაგრამ ცხრა წამის მერე ჯინგამ ჩოქბჯენში გადამიყვანა და ანგარიში გაათანაბრა. ამ დროს არბიტრმა ბრძოლა შეწყვიტა. მთავარი მსაჯის მაგიდასთან კამათი ატყდა — ჯინგას ის ქულა ჩავუთვალოთ თუ არაო. თუ ჩაუთვლიდნენ, ჩემპიონი ჯინგა გახდებოდა, რადგან პირველი ქულა მან მოიპოვა. სანამ მსაჯები კამათობდნენ, ნაკრების უფროსი მწვრთნელი შამილ ხისამუდტინოვი ნერვიულობისგან კინალამ გათავდა. ყვირილისგან ხმა სულ წაერთვა. ქულა ჯინგას ჩაუთვალეს. ექვსი წამი იყო დარჩენილი. მსაჯების გადაწყვეტილებამ ხისამუდტინოვი გააცოფა. პროტესტის ნიშნად პირსახოცი დააგდო და გასახდელისკენ გავარდა. მე გაოგნებული ვდგავარ ჩემს კუთხეში. რა ვქნა, არ ვიცი. ამ დროს ვხედავ, ხისამუდტინოვის წაცვლად ჩემკენ მორბის ჯემალ მეგრელიშვილი, დაგდებულ პირსახოცს იღებს და მიყვირის: მიდი, ვახო, ქულა გინდა, შენ ეს შეგიძლიაო. იქვეა რომან რურუაც. ისიც ხალიჩისკენ გამოენთო,



რა ყურები ჩამოგიყრია, კაცი არა ხარ, მიდი, ექვსი წამი კიდევ დაგრჩა, ყველაფერი უნდა გაიღოო.

გასაღები აღარაფერი იყო. თუ რამ ძალა და ენერგია მქონდა, ყველაფერი ჯინგასთან ბრძოლას შევალიე, მაგრამ რურუასა და მეგრელიშვილის შეძახილებმა გამომაფხიზლა და ძალა შემმატა. ჯინგას გავხედე. სიხარულით გაგიჟებული ხტუნაობს. დარწმუნებულია, რომ ექვს წამში აღარაფერი შეიცვლება. კაცი მეცხრე ცაზეა.

მსაჯმა ისევ საბრძოლველად გვიხმო, უფრო სწორად, ჭიდაობის ჩასამთავრებლად. ჯინგაც, ეტყობა, ასე ფიქრობს. წელში შევუვარდი, ჩოქბჯენში დავაგდე, ქულა ავართვი, დავატრიალე და... გონგის ხმაც გაისმა.

ბრძოლა დამთავრდა, მაგრამ მსაჯები კამათობენ, ერთი ქულა მივცეთ თუ ის ტრიალიც გონგამდე ჩავუთვალოთ და კიდევ ორი ქულა დავუმატოთ. ისე, ერთს მომცემენ თუ სამს, ამას მნიშვნელობა აღარა აქვს. მთავარია, ქულა მომცენ. უალრესად დაძაბული და მწვავე ბრძოლისა და ნერვიულობისგან თავში დომხხალი მაქვს. და ამ დროს:

„ვახო, ბიჭო! რაღაცას აუცილებლად მოგცემენ. ჩემპიონი ხარ, ბიჭო, გესმის, ჩემპიონი!“ — ყვირის რომან რურუა.

როგორც იქნა, მსაჯებმა მოითათბირეს. არბიტრმა მე და ჯინგას სარბიელის ცენტრში გვიხმო და გამარჯვების ნიშნად ჩემი ხელი აღმართა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მსაჯებმა ის ორი ქულაც მომცეს. ჯინგა მუხლებზე დაემხო და მუშტები თავში წაიშინა. მსაჯს ჩემი ხელი ჯერ კიდევ მაღლა ჰქონდა აწეული, რომ ჯემალი პირდაპირ სარბიელზე შემოვარდა, მტაცა ხელი და ამიყვანა. ასე ხელში აყვანილი რომ გავყავდი, კულისებიდან გამოვარდნილი ხისამუდტინოვი დავინახე. ისიც გაგიჟებული და აცრემლებული მორბოდა ჩემკენ...“

აი, ასე გახდა ვახტანგ ბლაგიძე მსოფლიო ჩემპიონი, რისთვისაც სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს. რაკი მანამდე ევროპის ჩემპიონის იქროს მედალიც დაისაკუთრა და იმ წელიწადს მოუგებელი აღარაფერი დარჩა, ბევრი ფიქრობდა, რომ 1978 წლის საქარ-

თველოს საუკეთესო სპორტსმენად დაასახელებდნენ. როგორც მითხა, თვითონაც ასე ფიქრობდა — ჩვენი „კლასიკოსი“ ხომ მსოფლიოს ყველა საერთაშორისო დონის მოჭიდავეს წმინდად ან აშკარა უპირატესობით უგებდა. საქართველოს სპორტულ უურნალისტთა გამოკითხვის შედეგად ბევრმა სწორედ ის დაასახელა, მაგრამ ნომერ პირველ სპორტსმენად მაინც მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძე აღიარეს. ვახტანგ ბლაგიძე მეორე იყო.

მადა ჭამაში მოდისო. იმ წელინადს მოპოვებულმა ტრიუმფალურმა გამარჯვებებმა ვახტანგ ბლაგიძეს ფრთხები შეასხა და მომავალი გამარჯვებებისთვის გაორმაგებული მონდომებით დაიწყო ვარჯიში. საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატთა შორის მისი მძლეველი არ ჩანდა, მაგრამ...



ნავსიანი დღე და გაცდენილი ტურნირები

„იმ დღეს, საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად მინსკში, შეერქაზე რომ ვიყავი, ვარჯიშისას ცუდად დავეცი. თავი დავარტყი. თვალთ დამიბნელდა, თორემ ტკივილი მაინცდამაინც არ მიგრძვნია. ვარჯიში გავაგრძელე. გასახდელისკენ რომ ნავედი, გულისრევა დამეწყო. ჯემალ მეგრელიშვილს ვუთხარი. მაშინვე ექიმთან გამაქანა. ტვინის შეეყვა მქონდა და საავადმყოფოში ამოვყავი თავი. რეაბილიტაციისთვის ექვსი თვე დამჭირდა.“

— ამ ხნის განმავლობაში არაერთი დიდი ტურნირი გამოტოვა, მათ შორის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები, — იხსენებს ბლაგიძის პირველი მწვრთნელი მიხეილ თავართქილაძე, — რამდენიმე თვის შემდეგ, ბოლომდე გამოჯანმრთელებული არც იყო, გულმა არ მოუთმინა, ექიმებს არ დაუჯერა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე სიცხიანი გამოვიდა. ბრინჯაოს მედალი მაინც მოიპოვა...

იმ წელინადს საბჭოთა ნაკრებში ბლაგიძის ადგილი ფატეულინმა დაიკავა. მან ევროპის ჩემპიონატის ფინალში გააღწია, იქ კი რაცთან

ვახტანგ ბლაგიძე
ფენომენალური ფიჭიური
გონიერები ჟურნალი,
რაც საშუალებას აძლევდა
მაღალ ტემპშე ეჭიდავა
და მეტოქე გამოუვალ
მდგომარეობაში
ჩაეცენებინა



დამარცხდა და ვერცხლის მედალს დაეუფლა. მერე, მსოფლიო ჩემპიონატზე, ჯინგასთან წააგო და მესამე ადგილზე გავიდა. საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობა აღარც ფატკულინს ენდობოდა და აღარც სხვას. ბლაგიძის დაბრუნებას ელოდნენ. ამ დროს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ხისამუდტინოვი გადააყენეს და გუნდი გენადი საპუნოვს გადააბარეს.

„ნაკრების ხელმძღვანელობაში მომხდარ ცვლილებებზე გვარიანად ვინერვიულე. ხისამუდტინოვი მენდობოდა, ნაკრებში უპრობლემოდ ვცვდებოდი. სხვებივით შესარჩევ ორთაბრძოლებს არ მიწყობდა, მაგრამ რას იზამდა ახალი მწვრთნელი, როგორ შემომხედავდა... საბენიეროდ, საპუნოვს ბრძოლაში არაერთხელ ყვავდი ნანახი, მათ შორის, სოფიაში, პეტროვის საერთაშორისო ტურნირზე და გამოჯანმრთელების მერე დამაბრუნა ნაკრებში, თუმცა, ყოველი შემთხვევისთვის, ფატკულინთან მაინც გამომცადა. ამ გამოცდაზე ფატკულინს იოტისოდენა შანსიც არ დავუტოვე, ადვილად დავამარცხე და ჩემი ნერვიულობაც ამით დასრულდა. ასე იყო თუ ისე, ის სეზონი მთლიანად გამიცდა. მომდევნო წელს პრაღაში ევროპის ჩემპიონი გავხდი. ყველა მეტოქე დავამარცხე, ფინალში კი იოლად მოვუგე რაცს.“

ბლაგიძისა და რაცის ბრძოლა პირველივე პერიოდში შეწყდა ქართველი ფალავნის აშკარა უპირატესობის გამო — ის 12:0-ს იგებდა. მანამდე მეტოქები ბოლომდე იბრძოდნენ. მაგალითად, რომან რურუას 24:0-ზე დაუმარცხებია მონინაალმდეგე, მაგრამ ამის გამო ბრძოლა ვადამდე არ შეწყვეტილა. მოგვიანებით საჭიდაო წესებმა (ცვლილება განიცადა. საკმარისი იყო ერთ-ერთი მოჭიდავე 12 ქულით დაწინაურებულიყო (12:0, 13:1, 14:2...)) და მსაჯი, მოკრივეთა ბრძოლის მსგავსად, აშკარა უპირატესობის გამო შეხვედრას წყვეტდა. ასე იყო პრაღაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე — პირველ პერიოდში, როცა ანგარიში 12:0 გახდა, ბლაგიძემ რაცითან შეხვედრა დაასრულა. მანამდე ბლაგიძეს არც სხვა მეტოქესთან დაუკარგავს ქულა. ასევე იყო ადრე გამართულ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზეც. ერთადერთი გამონაკლი-




სი გამოდგა ევროპის პირველობა — ჯინგასთან ერთი ქულა დაკარგა მაშინ, როცა მასაც აშკარა უპირატესობით იგებდა. სწორედ ამ დროს, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მსაჯებმა ჩვენი ფალავანი პასიურობისთვის გააფრთხილეს.

ეს იყო და ეს. მას მერე ბლაგიძეს ქულა აღარ დაუკარგავს.

ამის მერე იყო მოსკოვი, ოლიმპიური თამაშები და ვახტანგ ბლაგიძის ჭეშმარიტი ტრიუმფი.

ოლიმპიური თამაშების მერე ნაკრების ხელმძღვანელობამ ვახტანგ ბლაგიძე დაასვენა და მის ნაცვლად ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანა ერევნელი ბენურ ფაშაიანი, რომელსაც ქართველი ფალავნის ღირსეულ მემკვიდრედ თვლიდნენ. ფაშაიანი მართლაც ძალზე ტექნიკური მოჭიდავე იყო. იმ წელიწადს ევროპის ჩემპიონიც გახდა. ამის მერე ზოგიერთებმა იფიქრეს, ბლაგიძის, როგორც მოჭიდავის მზე ჩაესვენა, ფაშაიანის კი ამობრნებინდათ. თუმცა საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის სიმპათიები მაინც ქართველი მოჭიდავისკენ იხრებოდა. მოახლოვდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და საპუნოვმა ოპონენტების დასადუმებლად და უძლიერესის გამოსავლენად ბურთი და მოედანი ამ ორ მოჭიდავეს დაუთმო. ბლაგიძემ გამარჯვების არავითარი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს და ბრძოლის დაწყებიდან წუთახევრის შემდეგ, როცა 12:0 იგებდა, შეხვედრა შეწყდა. გაოგნებულმა ბენურ ფაშაიანმა თავი ხელებში ჩარგო, საპუნოვმა კი ოპონენტებს ნიშნის მოგებით გადახედა. რაღა თქმა უნდა, ბლაგიძე ოსლოში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის საბჭოთა ნაკრებში ლიდერად დაბრუნდა.

გაივლის წლები და საბჭოთა ნაკრებში ბლაგიძეს მართლაც ფაშაიანი შეცვლის. ისიც ორგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდება და იტყვის: „ვახტანგი ურთულეს ვითარებაშიც არ იბნეოდა. მტკიდრო ჯვარედინი ჩავლება მისი სტიქია იყო. მეტოქებმა ეს იცოდნენ და შორს დგომას ცდილობდნენ, მაგრამ ვახტანგის გამარჯვების საიდუმლო ის იყო, რომ მან იცოდა დისტანციის შემცირება, რაც საკუთარ თავზეც გამოვცადე.“





მაგრამ სანამ ბენურ ფაშაიანი ამას იტყოდა, ჯერ კიდევ ვახტანგ ბლა-
გიძის დრო იყო. ოსლოს მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველი ფალავანი
ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის რანგში ჩავიდა.

პატარა ტანკი ოსლოში

ნორვეგიის დედაქალაქში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი ახ-
ლებურად ჩატარდა. შეჯიბრების მონაწილეობი ორ ჯგუფად დაყვეს. 57
კილოგრამ წონით კატეგორიაში 38-მა მონაწილემ მოიყარა თავი. ისე
მოხდა, რომ ჩემპიონატის ყველა ფავორიტი ერთ ჯგუფში აღმოჩნდა,
მათ შორის ბლაგიძეც, ჯინგაც, რაციც... სხვადასხვა დროს სამივენი
ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონები და პრიზიორები იყ-
ვნენ. ამავე ჯგუფში მოხვდნენ ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები.
მათგან, სულ ცოტა, შვიდი მოჭიდავე მსოფლიო ჩემპიონატის საპატიო
კარცხლბეკზე ასვლის რეალური კანდიდატი იყო. ამიტომ ჯგუფში გა-
მართული ბრძოლებიც ძალიან საინტერესო გამოდგა.

ისიც უცნაური დამთხვევა იყო, რომ როცა მოჭიდავეები კენჭისყრა-
ზე რიგში ჩადგნენ, სამი გამოკვეთილი ფავორიტი — ბლაგიძე, რაცი და
ჯინგა — ამავე თანამიმდევრობით ერთმანეთის მიყოლებით აღმოჩნდა.
ისიც ბედნიერი დამთხვევა აღმოჩნდა, რომ ვახტანგს ცამეტი ნომერი
ხვდა წილად. სხვისთვის ეს იქნებ ცუდის ნიშანი ყოფილიყო, მაგრამ ვახ-
ტანგს ყველა სხვა ნომერს ერჩივნა. კარგად ჰქონდა დაცდილი — მეხი-
კოს მსოფლიო ჩემპიონატზეც ცამეტი ნომერი ერგო, რამაც პირველობა
მოუტანა. როცა ბლაგიძემ კენჭი იყარა და მეტოქებს გახედა, შორიახ-
ლოს პოლონელ სუპრუნს მოჰკრა თვალი. იმანაც თვალი ჩაუკრა და ყვე-
ლას გასაგონად, წინასწარმეტყველურად შესძახა, ბლაგიძე ჩემპიონო.

სუპრუნს ენამ უყივლა — ჩვენი ფალავანი მეორედ გახდა მსოფლიო
ჩემპიონი. ამ საქმეს კი სულ რაღაც 8 წუთი მოანდომა. ამ ხნის განმავლო-
ბაში მეტოქებს 37 ქულა ისე აართვა, რომ თავად ერთიც არ დაუკარგავს.

გამოცდილ და ძლიერ ბულგარელ ცეკოვს მეორე წუთზე ბლაგიძე უკვე 13:0 უგებდა. მსაჯმა ბრძოლა შეწყვიტა. მეორე წრეში რაცმა მეოთხე წუთამდე გაუძლო ბლაგიძეს და ეს შეხვედრაც ჩვენი ფალავნის აშკარა უპირატესობის გამო (13:0) შეწყდა...

და, ბოლოს — ფინალი. ბლაგიძე, რაღა თქმა უნდა, ფინალშია. მეორე ჯგუფიდან კი იქამდე გზა გაუკაფავს მის ძველ ნაცნობს, იაპონელ მიაჰარას, ვინც მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატზე საკუთარ თავზე გამოსცადა ვახტანგის ძალა. ბლაგიძე ახლაც ქულას ქულაზე აგროვებდა, 25 წამის მერე კი წმინდად გაიმარჯვა.

ასეთი ტრიუმფალური გამარჯვებების გამო ევროპელმა უურნალისტებმა ქართველ ფალავანს „თბილისელი პატარა ტანკი“ შეარქვეს.

თავისი გუნდის „პატარა ტანკით“ აღტაცებული იყო საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი გენადი საპუნოვიც.

„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ვახტანგს წინასწარ აქვს დაგეგმილი პირველი ადგილი. ხალიჩაზე მისი წამით გაჩერება შეუძლებელია. დევიზი — საუკეთესო დაცვა შეტევაა, სწორედ მასზეა ნათევა-მი. დაუშრეტელი ენერგიის ადამიანია. მის თითოეულ შერკინებას ისე შევცძერი, როგორც აღტაცებული გულშემატკიცარი.“

სიმრით მოაოვებული მსოფლიო თასი

ვახტანგ ბლაგიძის საერთაშორისო სპორტული კარიერა ძირითადად ჯინგასთან და რაცთან ბრძოლებს უკავშირდება. თითქმის არ ყოფილა შეჯიბრება, რომ ქართველ ფალავანს მათთან ურთიერთობა არ გაერკვიოს. როგორც ყოველთვის, ვახტანგ ბლაგიძე იმარჯვებდა და მეტოქეებს წარმატების შანსს არ უტოვებდა. სპეციალისტები და გულშემატკიცრები ისე მიეჩვივნენ ჯინგასთან და რაცთან გამარჯვებას, რომ მათი ყოველი ბრძოლის შედეგი შეხვედრის დაწყებამდეც კი ეჭვს



არ იწვევდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი ძალა აქვს სპორტში საკუთარი კედლების ფაქტორს, რომელიც ხშირად გადამწყვეტიც აღმოჩენილა. ამიტომ 1983 წელს უნგრეთში გამართული მსოფლიო თასის გათამაშების დაწყებამდე რაცი და მისი თანამემამულეები შინაური კედლების მხარდაჭერამ რევანშის წყურვილით აღავსო.

უნგრელი მოჭიდავე ყოველ ბრძოლაში თავის ქომაგებს იმედს უმართლებდა და დამაჯერებლად მიიწევდა ფინალისკენ. ასევე იყო ვახტანგ ბლაგიძეც, რომელსაც, მსოფლიო თასის გარდა, ჭიდაობაში არსებული ყველა უმაღლესი ტიტული უკვე მოპოვებული ჰქონდა.

და აი, ფინალიც, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ უნგრელი გულშემატკივრები. მაგრამ დაიწყო თუ არა ბრძოლა, ყველა დარწმუნდა, რომ რაცს ვერც გამოცდილება უშველიდა და ვერც საკუთარი კედლები. ვახტანგ ბლაგიძე კლასიკური ჭიდაობის მასტერკლასს ატარებდა და რაცის გულშემატკივრებსაც იბირებდა. ბრძოლის დაწყებიდან წუთნახევარზე ოდნავ მეტი იყო გასული, როცა ბლაგიძე 11:0 იგებდა. აშერა უპირატესობით გამარჯვებისგან მას ერთადერთი ქულა აშორებდა. და სწორედ ამ დროს...

„მეტოქე ილეთზე წამოვიდე. რაცმა იგრძნო, რომ ეს დასასრული იყო. ერთადერთ იმედად აკრძალული კონტრილეთილა რჩებოდა და ბოლო წამს გამოიყენა — ფეხი ჩამიდგა. მხარზე დავვარდი, მეტოქე კი ზემოდან დამეცა. მაგრამ ეს ყველაფერი ხალიჩის მიღმა მოხდა. რომ წამოვდექი, ვიგრძენი, რომ ხელი აღარ მემორჩილება. თურმე მხარი ამომივარდა. მოგვიანებით დაადგინეს, რომ კუნთიც გამწყვეტია და ძვალიც გამტებია, მაგრამ მაშინ ტკივილს ვერ ვგრძნობდი...“

წესით და რიგით, ფეხის ჩადგმის გამო რაცი უნდა გაეფრთხილებინათ და ამით ბრძოლაც დამთავრდებოდა, მაგრამ რაკი შეჯიბრება უნგრეთში ტარდებოდა, მსაჯებმა ამაზე თვალი დახუჭეს. ასე რომ, ანგარიში ისევ 11:0 დარჩა. ამ დროს სარტყელზე გადის საბჭოთა გუნდის ექიმი ბაკუშევი, ვახტანგს ხელს უსინჯავს და ამბობს, ჭიდაობა უნდა შევწყვიტოთ. მის დასახმარებლად ახლა ბულგარელთა გუნდის ექი-

მი მიღის და მხარს თავის ადგილზე უსვამს, მაგრამ ბაკუშევი ბრძოლის გაგრძელების წინააღმდეგია — ამ ხელით ვეღარ იჭიდავებსო. შეხვედრის დასრულებამდე მთელი სამი წუთი რჩება, ბლაგიძე კი ხელს ვეღარ გრძნობს. მოსალოდნელი დამარცხებით არა მხოლოდ თვითონ კარგავს თითქმის უკვე მოგებულ მსოფლიო თასს, არამედ საბჭოთა ნაკრებიც. საპუნოვი ხავსა ეჭიდება და ბაკუშევს უყვირის — გაუშვი, იჭიდაოსო. იმანაც გაუშვა. ვახტანგმა მოწყვეტილი მარჯვენა ხელი აიღო, „ფინკაში“ ჩაიდო და ხალიჩაზე დაბრუნდა.

„მე და რაცმა თვალი თვალში გავუყარეთ ერთმანეთს. ალბათ იფიქრა, შევეკვრები და გადავაგდებო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მოვიქცეოდი. მაგრამ მე მის ადგილზე არ ვიყავი და რამე უნდა მომეფიქრებინა, რომ როგორმე ის ერთი ქულა მომეპოვებინა, რადგან დარჩენილ დროში, ცალხელა, ვეღარც იმ დიდ უპირატესობას შევინარჩუნებდი. იქნებ წმინდად დავმარცხებულიყავი კიდეც. ასე რომ, რაცი ჩემგან ალბათ მხოლოდ ყრუ დაცვას ელოდა. მსაჯმა ნიშანი მოგვცა თუ არა, ვეძგერე, ცალი ხელით ეგრეთ წოდებული „ვერტუშკა“ გავუეთე და ქულა ავიღე. იქუხეს ტრიბუნებმა. მაყურებელი ფეხზე იდგა და ტაშს მიკრავდა. მკლავის ტკივილი გვიან ვიგრძენი. გამისივდა და ჩამილურჯდა. მოსკოვში ჩამოსული სიმწრისგან კედლებზე დავდიოდი. ხუთი დღის მერე ოპერაცია გამიკეთეს. ასე რომ, მსოფლიო თასი, პირდაპირი მნიშვნელობით, სიმწრით მოპოვებული ჯილდოა.“

ერთი გაირობის ფასი

მსოფლიო თასზე მელავის დაშავება ვახტანგ ბლაგიძისთვის, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, სპორტული კარიერის დასარულის დასაწყისი აღმოჩნდა. მოსკოვში ჩატარებულ ოპერაციას თბილისში ხანგრძლივი მკურნალობა მოჰყვა. ამასობაში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაც მოახლოვდა.



ვახტანგ ბლაგიძე
ოლიმპიური ჩემპიონია
მოსკოვი, 1980 წელი

ამ სპარტაკიადებზე ყველა რესპუბლიკას, როგორც იტყვიან, ქუდ-ზე კაცი გამოჰყავდა. რესპუბლიკის ინტერესების გამო გაჭირვების უამს ხანდახან სარბიელიდან სამუდამოდ წასულ სპორტსმენებსაც კი არენაზე აბრუნებდნენ და დაშავებულ ათლეტებსაც ბრძოლისკენ მოუ-ნოდებდნენ. თუ მწვრთნელებისა და სპორტსაზოგადოებათა მოწოდება არ ჭრიდა, საქმეში მთავრობა ერეოდა. ასე დაემართა ვახტანგ ბლაგიძესაც.

მართალია, მხარი ისევ განუხებს, მაგრამ არა უშავს, ფრთხილად იჭიდავე, მედალს თუ ვერ მოიპოვებ, გუნდს რაღაც ქულებს მაინც მოუ-ტან, ეს კი საერთო საქმეს დიდად წაადგებაო, — ეუბნებოდნენ ვახტანგ ბლაგიძეს და მანაც სამზადისი დაიწყო.

სპარტაკიადაზე ბლაგიძე პრაქტიკულად ცალხელა იბრძოდა. ნახევარფინალში მაინც გავიდა, იქ კი ბენურ ფაშაიანი ელოდა.

იმ დროს ფაშაიანი უკვე ანგარიშგასაწევი ძალა იყო — არაერთი ტიტულით იწონებდა თავს. საბჭოთა კავშირში ბლაგიძის გარდა მისი მძლეველი არავინ ჩანდა. ასე რომ, ტრავმამოშუშებულ ბლაგიძეს იოლი ბრძოლა არ ელოდა. თუმცა ქართველი სომებს 6:2 უგებდა.

„მარჯვენა ხელს ვერც ფაშაიანთან ვხმარობდი, მაგრამ შეხვედრას მაინც ვიგებდი. ეს რომ ფაშაიანის ბანაკში დაინახეს, სეკუნდანტებმა სომხურად რჩევები დააყარეს, თან ანიშნეს, მარჯვენა ხელში ჩაავლე და დაქარეო. იმანაც, გამარჯვების სხვა გზა რომ აღარ დარჩა, ერთხელ ჩამომკრა, მეორედ, მესამედ და... მკლავში რაღაც სითბო ჩამელვარა...“

იმ სითბოს ახლაც მწარედ ვგრძნობ, მაგრამ ერთი სახალისო ამბავი მაინც მახსენდება.

1978 წელია, ნიკოლა პეტროვის მემორიალური შეჯიბრება. ჯინგა მარჯვენაიდაყვეშეხვეული დადის და გაუთავებლად იქნებს. იქნებს ყოველი ჭიდაობის დაწყებამდე და ბრძოლის მერეც. მგონია, რომ ტკივილი ძალიან აწუხებს, მაგრამ მაინც ყველა შეხვედრას იგებს. და აი, ხალიჩაზე ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ. ვცდილობ, მტკიცან მარჯვენაზე ხელი არ ვახლო. არც მჭირდება, რადგან ისედაც ვუგებ, მაგრამ უცებ



ისე გამოქანდა ჩემკენ, წელში ისე შემივარდა, რომ მივხვდი, არაფერი ანუხებდა.

ის შეხვედრა მოვიგე, მაგრამ ნიკუსთვის არაფერი მითქვამს. ორი წლის მერე, ახლა უკვე ევროპის ჩემპიონატზე, ფინალურ შეხვედრებს ვატარებთ. პირველ ბრძოლას დასავლეთგერმანელ კლაუსთან 9:0 ვიგებ. ამ დროს, გდების მერე, ჯინგას გასაცუცურაკებლად, ნეკნზე ხელს ვიდებ, ვითომ ვიტკინე, ყასიდად ჩოქბჯენში ვეცემი, კლაუსს თავს ვატრიალებინებ და განგებ სამ ქულას ვუთმობ. იმავე წამს გონგის ხმაც გაისმის. ხალიჩიდან ისეთი დალრეჯილი სახით და მანჭვა-გრეხით გავდივარ, თითქოს ყველა ნეკნი ჩამმტვრეოდეს.

მერე, ჯინგას პირისპირ რომ დავდექი, ისე გამოქანდა ჩემკენ, ისე შემივარდა წელში, ისე შემომაჭდო მკლავები, რომ ვიფიქრე, ნეკნებს ჩამიმტვრევს-მეთქი. სწრაფად დავიძვრინე თავი მარწუხებიდან და შეტევაზე გადავდი. ხან აქეთ ამოვატრიალე, ხან იქით დავაგდე. წუთსა და 35 წამში თორმეტი ქულა ისე დავაგროვე, რომ მე ერთიც არ დამიკარგავს. ბოლოს წმინდად გავიმარჯვე.

ბრძოლის მერე ნიკუ „თანაგრძნობით“ მეკითხება: „ნეკნი ძალიან გტკივა?“ მე კითხვითვე ვპასუხობ: პეტროვის მემორიალზე შენ მკლავი ძალიან გტკიოდა-მეთქი. ორივემ ბევრი ვიცინეთ.

მაშინ მე ევროპის ჩემპიონი გავხდი, 1983 წლის საკავშირო სპარტაკიადაზე კი, ფაშაიანმა მკლავზე მესამედაც რომ დამქაჩა, იძულებული გავხდი, ბრძოლა შემეწყვიტა. გუნდს ქულები მაინც მოვუტანე. ასეთი თავდადებისთვის უიული შარტავამ გმირად გამომაცხადა...“

ვახტანგ ბლაგიძისთვის ამ გმირობის ფასი სარბიელთან გამოთხოვება და სპორტული კარიერის დასასრული აღმოჩნდა. ექიმებმა უთხრეს, ჭიდაობას თუ გააგრძელებ, კიდევ ერთი ოპერაცია დაგჭირდებაო. ეს კი თითქმის ერთი წლის დაკარგვას ნიშნავდა. არადა, უკვე ოცდაათი წლის ხდებოდა და სარბიელზე დასარჩენად აღარც სტიმული ჰქონდა. ყველა უმაღლესი მწვერვალი დაპყრობილი იყო — საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა, ევროპისაც, მსოფლიოსიც და ოლიმპიური თამაშებისაც.

„რისთვისდა უნდა მებრძოლა? ოპერაციისთვის? ერთადერთი მაც-დური მიზანი ოლიმპიური თამაშების მეორე ოქროს მედალი იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირმა ლოს-ანჯელესის ოლიმპიადას ბოკოტი გამოუცხადა და მეც გადავწყვიტე სარბიელს გამოვთხოვებოდი. დარწმუნებული ვარ, რომ დავრჩენილიყავი და ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის შანსი მოეცათ, დაშავებული ხელითაც ჩემპიონი გავხდებოდი. ლოს-ანჯელესში ოქროს მედალი მოიპოვა იაპონელმა მიაჰარამ, მე კი მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატზე იოლად დავამარცხე, ზელენბინდერის ტურნირზე კი 15 წამში წმინდად მოვუგე. ახლაც, ლამის ნახევარი საუკუნის ვარ, მაგრამ საჭიდაო ხალიჩაზე ორ წუთს ნებისმიერ მეტოქესთან გავძლებ. მაშინ კი დაღლა რა იყო, არ ვიცოდი,“ — ეს უკვე 2003 წლის შემოდგომის პირზე მითხრა ბლაგიძემ, როცა თბილისის უნივერსიტეტის მთამსვლელებთან ერთად კავკასიონის ერთი უსახელო მწვერვალის დასალაშქრავად წავედით. თან ვშიშობდით, მთაში სიარულს უჩვევი და ამდენი წლის უვარჯიშებელი როგორ ივლისო.

ოლიმპიურთა მცველვალი

იმ შემოდგომაზე ჩვენი მიზანი უბრალოდ უსახელო მწვერვალზე ასვლა კი არა, მისთვის „საქართველოს ოლიმპიელის“ დარქმევა იყო. მწვერვალზე მოიერიშეთა შორის კიდევ ერთი ოლიმპიელი, ისიც მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორი, ძიუდიოსტი შოთა ხაბარელი იყო. ასე რომ, ალპინიზმისა და ოლიმპიზმის თოკით გაერთიანებული, ყაზბეგის რაიონში, ხდის ხეობის სათავეებისკენ მიმავალ გზას დაგადექით.

ლამისთვისას კარავში, საძილე ტომრებში ჩამძვრალები, მთისა და ბარის ამბებს ვყვებოდით. ვახტანგიც თავისას ყვებოდა.

„ჭიდაობას რომ შევეშვი, 35 წლის ასაკში ავტორბოლამ გამიტაცა. „08 კლასის“ სარბოლო მანქანის საჭეს მივუჯექი და სპორტის ოსტა-






ტობის კანდიდატის ნორმატივი შევასრულე. ერთხელ ამიერკავკასიის ჩემპიონატი მოვიგე, მეორე-მესამე ადგილებიც დავიკავე. რიგაში, საერთაშორისო რბოლაზე, პრიზიორი გავხდი, მაგრამ მერე სამსახურს თავი ველარ დავაღწიე — საქართველოს პროკურატურის გამომძიებელი ვიყავი, მერე აჭარის პროკურორის თანაშემწე, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის თანამშრომელი, თბილისის აეროპორტის საბაზოს მუშავი... ერთი სიტყვით, მთამსვლელობადა მაკლდა და ამასაც გავუსინჯე გემო...“

სხვათა შორის, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ საშუალო წონით კატეგორიაში ძალისანთა ტურნირის გამარჯვებულმა, ლენინაკანელმა იურიკ ვარდანიანმა გადაწყვიტა, ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა სომხეთის უმაღლეს მწვერვალ არაგაცზე ლაშქრობით აღენიშნა და მიზანსაც მიაღწია. ჩვენმა ოლიმპიონიკებმა კი იმ 4000 მეტრამდე სიმაღლის უსახელო პიკიდან 2003 წელს თითქმის მთელ კავკასიონს გახედეს, ქვეყანასაც გადმოხედეს და თავად მწვერვალს „საქართველოს ოლიმპიელი“ უწოდეს.

კავკასიონზე ოლიმპიელების კიდევ ერთი მწვერვალი არსებობს და ისიც მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს უკავშირდება. მაშინ, 1980 წელს, ჩრდილოეთ კავკასიონის უსახელო მწვერვალზე რუსეთის მთამსვლელთა გუნდი ალექსანდრ რუდენკოს მეთაურობით 3858 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალზე ჯერ დასავლეთის ქედიდან 2ა კატეგორიის სირთულის კომბინირებული მარშრუტით ავიდა, მერე — 2ბ კატეგორიის სირთულის კლდოვანი მარცხენა კონტრფორსის გავლით და მწვერვალს „ოლიმპიელ“ უწოდა.

რაკი ილიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ იშვიათ ალპინისტურ ასკლებზე ესაუბრობთ, აქვე გავიხსენოთ 1996 წელს ბელარუსის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ ორგანიზებული იქაურ მთამსვლელთა ლაშქრობა პამირის მთებში აღმართულ ყოფილ სსრ კავშირის უმაღლეს მწვერვალ ლენინის პიკზე, რაც თანამედროვე ოლიმპიური თამაშების საუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა.



გახტანგ ბლავიძე:
„ამპობენ, გამარჯვებები მით
უფრო სასიხარულოა, რაც
უფრო მძიმე ბრძოლებშია
მოპოვებულიო.
მართალია, მისკოვის
ოლიმპიური ოქრო იოლად
მოვიპოვე, მაგრამ
სიხარულით ცას ვენიო.“



ვახტანგ ბლაგიძე
თბილისის „დინამის“
კალათბურთელებთან ერთად

იგივე თარიღი ჩინეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ ორგანიზებულმა იქაურ მთამსვლელთა ექსპედიციამ დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე ასვლით აღნიშნა.

ასწლოვანი ოლიმპიური თამაშების იუბილეს მიეძღვნა იმავე წელს ამერიკის, საბერძნეთის, უკრაინის, რუსეთისა და ტაჯიკეთის მთამსვლელთა ერთობლივი ლაშქრობაც პამირის მთებში აღმართულ 4100 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალზე, რომელსაც თანამედროვე ოლიმპიადების დამფუძნებლის, ფრანგი ბარონის პიერ დე კუბერტენის სახელი ეწოდა.

2001 წელს რუსეთისა და ტაჯიკეთის მთამსვლელებმა ასევე პამირის მთებში დალაშქრეს 4100 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალი და მას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის სახელი უწოდეს.

მაგრამ ერთია მწვერვალზე მთამსვლელთა ლაშქრობა და სულ სხვაა, როცა იქ ოლიმპიელები, მით უმეტეს, ჩემპიონები ადიან.

გახტანგ ბლაგიძე და შოთა ხაბარელი სწორედ ასეთი გამორჩეული ოლიმპიური ჩემპიონები არიან.

ბლაგიძის, ხაბარელის, ვარდანიანისა და კიდევ ერთის მსგავსად, სხვა ოლიმპიურ ჩემპიონებსაც მიუღიათ თუ არა აღპინისტური ნათლობა, სამწუხაროდ, ვერ დავადგინე, ყოველ შემთხვევაში, მსგავსი მიღწევებით თითზე ჩამოსათვლელი ჩემპიონები თუ მოიწონებენ თავს. ის ერთი კი გახლავთ იტალიელი ქალბატონი მანუელა დი ჩენტა.

მანუელა დი ჩენტა არის თხილამურებით რბოლაში ლილეპამერისა და ნაგანოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი და ოთხგზის პრიზიორი, რომელმაც დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა (8848მ.) დალაშქრა და გახდა პირველი იტალიელი ქალი და საერთოდ, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, ვინც „სამყაროს სახურავზე“ ავიდა.

ეს 2003 წელს მოხდა. იმავე დღეებში ევერესტზე ავიდა ნაგანოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ფრისტაილში, იაპონელი გოტა მიურა. ამ ასვლიდან ოთხიოდე თვის მერე კი იყო ჩვენი ლაშქრობა



კავკასიონის იმ უსახელო, ახლა კი სახელიან 4000 მეტრამდე სიმაღლის მწვერვალზე.

ასე რომ, ის წელი ალპინიზმისა და ოლიმპიზმის ისტორიაში, ჩვენი ოლიმპიონიკების წყალობითაც, გამორჩეული გამოდგა. ლაშქრობა სა-ქართველოს ოლიმპიური ფესტივალის პროგრამით განხორციელდა.

ის ლაშქრობა იმითაც იყო ლირსშესანიშნავი, რომ ჩატარდა ქართული ალპინიზმის საიუბილეო წელინადს. 80 წლით ადრე, 1923 წლის იმ დღეს თბილისის უნივერსიტეტის 18-კაციანი გუნდი გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით მყინვარზერზე ავიდა და სათავე დაუდო მთელი საბჭოთა მთამსვლელობის ისტორიას. მას მერე უნივერსიტეტელებმა არაერთი ბრწყინვალე ასვლა განახორციელეს კავკასიონის, პამირის, ტიან-შანისა თუ სხვა მთების მწვერვალებზე, ხოლო ტრადიციული ალპინიადებით უამრავი ახალგაზრდა აზიარეს ალპინიზმს. მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონები, ასევე ძველი უნივერსიტეტელები ვახტანგ ბლაგიძე და შოთა ხაბარელიც აღმოჩნდნენ. ის ალპინიადაც საიუბილეო, მესამოცე იყო. ისიც სიმბოლური დამთხვევა გახლდათ, რომ, ქართული ალპინიზმის მეაკვნეებივით, ჩვენც თვრამეტი ავედით მწვერვალზე. ალპინიადას კი, ტრადიციისამტკრ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, უნივერსიტეტის ნახევარგამტართა პრობლემური ლაბორატორიის გამგე, დოცენტი შოთა მირიანაშვილი ხელმძღვანელობდა და მწვერვალზეც ის მიგვიძლოდა.

ახლა ვახტანგ ბლაგიძესთან ერთად ვათვალიერებ იმ დღეებში გადაღებულ ფოტოებს. მთამსვლელურ ნათლობას მასზე ნარუშლელი კვალი დაუტოვებია, რადგან სამდღიანი ლაშქრობის ეპიზოდების გახსენებისას დროდადრო ავიწყდება, რომ მეც იქ ვიყავი. ასელის პერიპეტიებს ისე მიამბობს, თითქოს ეს ფოტოები ჩემი გადაღებული არ იყო.

ერთ ცოტა რთულ კლდოვან მონაკვეთზე თოკში ჩაბმული რომ გაიჭედა, გასამხნევებლად ფოტოობიექტივი დაცუმიზნე და ავძახე, ვახო, აქეთ გამომხედე, გამიღიმე და ჩიტი გამოფრინდება-მეთქი, მაგ-

რამ ყური მოიყრუა. მეორედაც ავძახე, მესამედაც, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ბოლოს, სამშვიდობოს რომ დაიგულა თავი, მომიბრუნდა, აპილპილებულმა წერაყინი მომილერა და მითხრა: ხომ არ გადაირიე, რა დროს სურათის გადაღება იყო, სიკვდილს თვალებში ვუყურებდიო. მე-რე წინ მიმავალ შოთა ხაბარელს დაუცაცხანა, მაგ კლდეზე დათვივით რომ მიაბოტებ და ყველაფერს ანგრევ, ქვები თავზე მეყრება, ამიტომ უკან იარეო.

მერე იყო და, ვეება თოვლიან ბალიშზე კლდოვან პირამიდასავით აღმართულ მწვერვალს რომ მივადექით და მის წვერამდე სიმაღლე-ში ოციოდე მეტრილა გვრჩებოდა, უცებ გაჯიუტდა — მოსაკლავი თა-ვი სად მაქვს, მანდ ამსვლელი ალარ ვარო, ჩვენ ყველას კი შერეკილები გვიძახა. არადა, წამოსვლამდე ტრაბახობდა, ტყე-ლრეში, საძილე ტო-მარაში და კარავში არაერთი ლამე გამიტარებია, მთელი გურიის მთები ნადირობისას შემომიკვლია, სხვა მთებშიც ვყოფილვარ, ფრიალო კლდე-ზეც დავკიდებულვარ და ყაზბეგში რაღაც მწვერვალზე როგორ ვერ ავალო. აქ კი დარწმუნდა, რომ იმ მთებსა და ამ მთებს შორის ისეთივე სხვაობა ყოფილა, როგორც ცასა და დედამინას შორის.

ერთი სიტყვით, ხევწნა-მუდარამ რომ არ გაჭრა, იმ კლდის ძირ-ში დავტოვეთ და გზა გავაგრძელეთ. ბოლოს, თითქმის ასულებმა რომ გადმოვხედეთ, რას ვხედავთ: მწვერვალის მარცხნივ მთლად უხიფათო გზისთვის მიუგნია და იქიდან ლილი-ლილინით დაძრულა. მწვერვალ-ზეც თითქმის ერთდროულად ავედით.

ახლა, თავისი გაჯიუტების ამბავს რომ იხსენებს, ამბობს: იმ კლდე-ზე ასვლის კი არ მეშინოდა, იქიდან როგორ ჩამოვალ-მეთქი, მაგაზე ვფიქრობდიო.

ხდის ხეობის პირამიდიდან ყველანი ვახტანგ ბლაგიძის მიერ ნაპოვ-ნი გზით დავეშვით. ზემოთ, ღრუბლებში დარჩა ჩვენს თავზე მოტრიალე ორი ვეება არწივი და „საქართველოს ოლიმპიელად“ მონათლული პი-რამიდასავით მწვერვალი, საიდანაც ჯიხვების ცნობისმოყვარე მზერა მოგვაცილებდა.



ოლიმპიურმა ჩემპიონებმა
— შოთა ხაბარელმა და
ვახტანგ ბლაგიძემ
ქართველ მთამსელელებთან
ერთად, საერთაშორისო
კლასის სპორტის ოსტატის
— შოთა მირიანაშვილის
მეთაურობით, 2003 წელს
ხდეს ხეობაში უსახელო
მწვერვალი დალაშქრეს
და მას „საქართველოს
ოლიმპიური“ უწოდეს

ჩვენი მწვერვალის ბოლო მონაკვეთი რაღაცით პირამიდას გვაგონებს. ალბათ, ამიტომ ვახტანგ ბლაგიძეს ეგვიპტურ პირამიდაზე ასვლა ახსენდება.

„საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად ეგვიპტეში საერთაშორისო ტურნირზე ვიყავი. ისე როგორ იქნებოდა, რომელიმე ფარაონის პირამიდაზე არ ავსულიყავი. თანაგუნდელ იგორ კანიგინთან ერთად ერთ-ერთს მივადექი. სვენებ-სვენებით ავდიოდით. კანიგინი ჩამომრჩა. უცებ ქვემოდან მიყვირა, ფილებქვეშ გველები იმალებიანო. ნადირობისას რაღას არ გადავყრივარ, რაღა არ მომინადირებია: მგელიც, ტახიც, დათვიც, მაგრამ არც ერთისა არ შემშინებია. გველის დანახვაზე კი არა, ხსენებაზეც გული მისკდება. უნდა გენახათ, რა ყოფით დავეშვი იმ პირამიდიდან...“

მაგრამ ფარაონის პირამიდიდან კავკასიონისაზე დავბრუნდეთ, სადაც კიდევ ბევრი მთამსვლელი ავა და არაერთი ახალგაზრდა ეზიარება ალპინიზმს. საქართველოს ოლიმპიელებში ალბათ სხვებიც გამოჩინდებიან, რომლებიც თავიანთი წინამორბედებივთი დალაშქრავენ ოლიმპიური თამაშების მწვერვალს და კავკასიონის ამ პიჯაც. ვინ იცის, იქნებ მათ შორის აღმოჩინდეს მეორე ვახტანგ ბლაგიძე — პირველი ვახტანგ ბლაგიძის შვილი.

„ვახტანგი მეორე შვილია. თოთხმეტი წლისაა. პირველი, ფიქრია, მასზე ცამეტი წლით უფროსია. ვახტანგი „სიბერეში“ შეგვეძინა. მთავარმა ექიმმა, ჩემმა მეგობარმა მამულო იაშვილმა ჩემი სახელი დაანათლა — შენსავით ჩემპიონი უნდა გაიზარდოს,“ — მეუბნება ვახტანგ ბლაგიძე.

ოღონდ, ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ უფროსი ვახტანგ ბლაგიძე, სხვათათვის მისაბაძი ფალავანი, საკუთარი შვილისთვის ასეთად ვერ ჰქონდება. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო — უმცროსი ვახტანგ ბლაგიძის კერპი საკუთარი მამა კი არა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური გამხდარა.

ზვიადაურის ათენურ ოქროს მედალს, ამ გამარჯვების აღსანიშნავად თბილისში მოწყობილ ფოიერვერქს და ტრიუმფალურ დახვედრას პატარა ვახტანგზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია, მასაც კი-მონო ჩაუცვამს და ახლა ტატამზე დიდი მონდომებით ვარჯიშობს.



უფროსი ვახტანგ ბლაგიძის ოლიმპიური ჩემპიონობის ალსანიშნავად მსგავსი არაფერი მომხდარა — იმ პირჯვრის გამო ხომ თავისებურად, კომუნისტურად შეაჩვენეს!

არც აქტიური სპორტიდან გაუცილებიათ. მიუხედავად ამისა, ჩვენი წიგნის გმირი მადლიერია ყველასი, ვინც მისი ჩემპიონობით გაიხარა, ეს სიხარული თავისებურად აღნიშნა და ცხოვრებაშიც ხელი გაუმართა.

ჩემპიონის პედი

მათ შორის, ვისაც ჩვენი წიგნის გმირისთვის დახმარების ხელი გაუწვდია, არაერთია, ვახტანგი კი განსაკუთრებით ოთარ კვანტრიშვილსა და იური სიორიძეს ემადლიერება.

„მოსკოვის ოლიმპიური თამაშებიდან დაბრუნებულ ჩვენს მედალოსნებს აეროპორტში თაიგულებით რომ ხვდებოდნენ, მერეც უამრავ შეხვედრას უწყობდნენ, ბინებითაც აჯილდოებდნენ და ავტომანქანის ურიგოდ შეძენის უფლებითაც. ეს ყველაფერი ჩემთვის უცხო აღმოჩნდა. ძალიან გულნატკენი ვიყავი. იქნებ ჩემი დაფასება ბევრს გულითაც ეწადა, მაგრამ ვერ ბედავდა. ალბათ, ფიქრობდნენ, მაგის პირჯვარს ჩვენც არ გადაგვაყოლონო. ერთადერთი, ვინც საქართველოში ეს გაბედა, მახარაძის რაიონის მილიციის უფროსი იური სიორიძე აღმოჩნდა.

სიორიძე ჩემზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იყო და ჭიდაობის ყადრი კარგად იცოდა. თავის დროზე მძიმე წონაში ჭიდაობდა. ჩემი გაჭირვების ამბავიც კარგად იცოდა. ამიტომ მორალურადაც და მატერიალურადაც მუდამ მხარში მედგა. 78-ში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი რომ გავხდი, სანაქებო ნადიმი მომიწყო. იმავე წელს ქორწილი გადამიხადა და გემრიელადაც ითამადა. ოლიმპიური ოქროს მედალი რომ მოვიგე, ისევ სიორიძემ დამაფასა. იმ ბანკეტზე გაიგო, დედაჩემი ფეხებდასისხლიანებული როგორ დაბრუნდა შემოქმედის ეკლესიდან, როგორ მა-





რიგებდა, კვარცხლბეკზე რომ ახვალ, პირჯვარი გადაიწერე და ღმერთს მადლობა შესწირეო. ეს რომ გაიგო, ამ მთასავით კაცს გული აუჩუყდა და ცრემლები გადმოსცვივდა.

კარგი კაცი იყო ცხონებული იური სიორიძე. იმ არეულობის წლებში ყაჩაღებს ავტობუსში შეებრძოლა, გახსნილი „ლიმონკა“ ხელიდან გამოგლივა და ზედ გადაეფარა... ასე იხსნა მგზავრების სიცოცხლე, რომელთა შორის ბავშვებიც იყვნენ...“

„უსახლკარო კაცი გზაში გამოვარდნილიაო და მრავალი წლის განმავლობაში მეც ასე ვიყავი. ბოლოს ისევ მაშინდელი საქართველოს კაგებეს უფროსი ინაური ჩაერია საქმეში. ვაკესა და საბურთალოზე ასარჩევად ორი ბინა მაჩვენეს. მე საბურთალოზე, „შანხაისთან“ სამოთახიანი ვამჯობინე, მაგრამ სოფლელმა კაცმა კორპუსში ვერ გავძელი, გავყიდე და გორგასალზე ეზოიანი სახლი ვიყიდე. როგორც იქნა, გავარემონტე, მაგრამ მინისძვრამ კედლები სულ დამიხეთქა. ჩემი სახლის საძირკველზე სანახევროდ ერთი სომეხი მეზობლის სახლიც დგას. იმან ქვეყნა შეყარა, მინისძვრამ დამაზარალა, მომხედეთო. იმდენი ქნა, უსასყიდლოდ გაარემონტებინა ბინა. ჩემი კი დარჩა, თითქოს ერთი ბალავარი არ გვქონდა...“

ვახტანგ ბლაგიძე ახლაც კედლებდახეთქილ სახლში ცხოვრობს. იმის გამაგრებას თუ რემონტს ვინდა ჩივის, როცა ჯერ კიდევ ჯან-ლონით სავსე კაცი უმუშევრად დარჩენილა და ძლიერ გააქვს თავი.

ეჭ, მგონი მართალი იყო იან დიმოვი, როცა წერდა: მის სახეზე ღიმილს იშვიათად ნახავთ, შეფიქრიანებული, წყნარი და გაუცინარია ეს ვახტანგ ბლაგიძე.

ეტყობა, ცხოვრებამ ღიმილი გადაავინყა, მაგრამ თავი მაინც ღირსეულად უჭრავს. ზოგიერთივით არც არავის ემლიქენელება და არც არავის არაფერს სთხოვს.

აი, ასეთი ბედი ჰქონია ვახტანგ ბლაგიძეს. არადა, ძველ საბერძნეთში ოლიმპიურ ჩემპიონებს ძეგლებს უდგამდნენ და არც ახლა ტოვებენ ბედის ანაბარა.

ვახტანგ ბლაგიძე

დაიბადა 1954 წლის 23 ივლისს ჩოჩხათში, ლანჩხუთი. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე (52 კგ). XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1980, მოსკოვი), მსოფლიოს ორგზის (1978, 81), ევროპის ორგზის (1978, 80), სსრკ (1981) და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1977), მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ლირსების ორდენების კავალერი.



VAKHTANG BLAGIDZE

Greco-Roman wrestler (52 kg), was born on July 23, 1954 in Chochkhati village of Lanchkhuti district (Western Georgia). He is a champion of XXII Olympic Games (Moscow, 1980), twice world champion (1978, 1981), twice champion of Europe (1978, 1980), champion of the USSR (1981) and champion of the (World) Student Games (1977). Blagidze is a winner of many international tournaments. He was the USSR Honored Master of Sports. Blagidze was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class and Order of Honor.